# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2012 წელი.

№71 (6948)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას



**უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე**

2-3

## ერთსულოვნებისაკენ!



### მახათას მთაზე ისტორიული მშენებლობა დაიწყო!

მახათას მთაზე გუშინ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათაზე პარაკლისი გადაიხადა, რის შემდეგაც ტაძრის საკურთხევლის ადგილზე პირველი მიწა ამოიღეს.

ტაძრის საძირკველში ჩააბრძანეს მსოფლიოს სხვადასხვა წმინდა ადგილებიდან და საქართველოს ეპარქიებიდან ჩამობრძანებული სიწმინდეები.

ისტორიულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მრევლი საქართველოს 38-ვე ეპარქიიდან ჩამოვიდა. პატრიარქის კურთხევით, მოსახლეობამ მახათაზე ქვები მიიტანა, რომლებზეც, ლოცვასთან ერთად, მათი ოჯახის წევრებისა და მათთვის ძვირფასი ადამიანების სახელები ეწერა. ეს ქვები ტაძრის საძირკველში მოათავსეს...

სპეციალურად ამ დღისთვის, პატრიარქის კურთხევით დაიწერა ანგია წინასწარმეტყველის ხატი, რომელიც მშენებლობის მფარველად მიიჩნევა.

მშენებლობის დაწყების ცერემონიალში მონაწილეობდნენ ფონდ „ივერიისას" დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიულ მშენებლობას უდგას სათავეში.

ტაძარს საზოგადოება და ემიგრაციაში მყოფი ქართველები ერთად აშენებენ. სახალხო აქციაში უკვე 145 ათასი ადამიანია ჩართული. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელები ჩაიწერება.

მშენებლობის მონაწილეებს საკუთარი სახელის ნახვა შეუძლიათ ფონდის ვებგვერდზე www.makhata.ge. აქციაში მონაწილეობის მსურველებს ყოველთვიურად 1 ლარის გადარიცხვა, ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან შეუძლიათ. დარეკეთ აგრეთვე სპეციალურ ნომერზე — 0901 77 77 77.

ფარავდეს ღმერთი სრულიად საქართველოს და მახათას მთაზე უნიკალური სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას!

## აღდგომა საყოველთაო განახლების დღესასწაულია

ძვირფასო თანამემამულენო,

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღსდგა!

აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ყველაზე დიდი დღესასწაულია. ქართველმა კაცმა აღდგომა არა მარტო რელიგიურ, არამედ ეროვნულ დღესასწაულადაც აქცია. აღდგომა ეროვნული თვითშეგნების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ქართველებისთვის. ასე იყო ადრეც, კომუნისტების ეპოქაში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სასტიკად იკრძალებოდა ამ სიტყვის ხსენებაც კი.

დღესაც მახსოვს, როგორ გვიხაროდა ბავშვებს, დედა რომ კვერცხებს ღებავდა და პასქას აცხობდა. შეიძლება მაშინ ამის მნიშვნელობაც არ გვესმოდა, მაგრამ ის სიხარული, რასაც მაშინ განვიცდიდით ბავშვები, გულწრფელი იყო და ბუნებრივი.

დღეს ყველამ იცის ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობა – აღდგომა საყოველთაო განახლების დღესასწაულია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღსდგა!

ბიძინა ივანიშვილი

**14 აპრილის გახსენება**

## ეს იყო უნიკალური შემთხვევა სსრ კავშირის არსებობის განმავლობაში

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდებმა — სტუდენტებმა და მოსწავლეებმა საქმით და არა სიტყვით დაუდასტურეს ქართულ ენას გულწრფელი ერთგულება. მშობლიური ენის დასაცავად საბჭოთა რეპრესიულ მანქანას დაუპირისპირდნენ და არ შეუშინდნენ რეალურ განსაცდელს, რაც პროტესტის ასეთ ფორმას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მათ პროტესტს უფროსი თაობის არაერთი ღირსეული წარმომადგენელიც შეუერთდა. ახალგაზრდების ამ ნაბიჯმა, რაც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, ნაყოფი გამოიღო — ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი დაუბრუნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უნიკალური შემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში.

მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 34 წლის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ხელისუფლების მხრიდან ქართული ენის მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება გაჩნდებოდა. ჩვენი თაობის ვალია ქართულ ენას აღვუდგინოთ თავისი განსაკუთრებული ადგილი, ყველა ჩვენს თანამოქალაქეს ხელი შევუწყოთ ქართული ენის შესწავლაში და ამით განვამტკიცოთ მისი სახელმწიფო სტატუსი.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება"

## ივანიშვილის რა განხორციელებული პროექტები და რა საქმეები მიითვისა სააკაშვილმა

3

## რას მოგვიტანს ლაზიკას მშენებლობა?

6-7



# თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას

## უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე

**ქრისტე აღდგა!**
**ჭეშმარიტად აღდგა!**

**ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერმონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!**

**ქრისტე აღდგა!**

**მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1).**

**ქრისტე აღდგა!**

**სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!**

**ქრისტე აღდგა!**

სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?!



დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოზთა დასნი; „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერითა მით სარწმუნოებისათა (წმ. იოანე ოქროპირი).

მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?!

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უქრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ (რომ. 5.12). ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასთვის დაიხშო სასუფევლის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა; ხოლო რადგან კაცთა შორის და, ზოგადად, ქმნილებათა შორის, ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა.

და აი, აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, — კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, — ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა. „სიტყვა განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთობილიყავით" (წმ. ათანასე დიდი).

ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა; ამიტომაც სრულად არავინ იცოდა, ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და ღვთის რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია.

მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებსა და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრმებს, აღადგენს მკვდრებს...

ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას. ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

და აი, იუდა..., სინედრიონი..., პილატეს სამსჯავრო, ჯვარცმა და ძე კაცისას ადამიანური ტკივილით სავსე უკანასკნელი აღმონათქვამი: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი", „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე მე".

თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, — მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, — ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემოქმედი! ეშმაკი ჰგონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფი მართალთა სულნი ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ „ძლევაი საკვირველი" მოიმოქმედა. ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს.

გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „მამაო, განადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. რაკი მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე..., მისცეს საუკუნო სიცოცხლე" (იოანე 17,1,2).

ამიტომაცაა ეს დღე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული ჩვენთვის და საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსათვის.

მკვდრეთით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას — თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხონებაში მყოფ მართალთა სულებისაგან შედგება და მას მოზეიმე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე.

„სასუფეველი ცათა იიძულების" — ბრძანებს სახარება. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან გვმართებს, — ჩვენს ეგოიზმთან და ამპარტავნებასთან, რაც არის ყველაზე დიდი და საშიში ნესტარი ჩვენი სულისა. ჩვენი გული, რომელიც სავსეა ცოდვით და ცოდვითი მიდრეკილებით, ჭუჭყისგან უნდა გავათავისუფლოთ და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, — ჩვენს ნამდვილ „მეს". ამას კი, როგორც გვასწავლის უფალი, მივაღწევთ, თუ შევიყვარებთ მოყვასს, ვითარცა საკუთარ თავს.

მაშ, შეიყვარე მოყვასი და ამით შეიყვარებ შემოქმედს. შენი სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემოქმედთან, — წმ. მამების ეს რჩევა ჩვენი ცხოვრების კანონად უნდა ვაქციოთ.

ამ გზაზე შეურაცხყოფაც შეგვხვდება და ცილისწამებაც, დაცინვაც და დამდაბლებაც, დაცემაც და აღდგომაც. არ უნდა შევშინდეთ, ეს ყველაფერი ჩვენი ამპარტავნების წამალია, მწარე, მაგრამ განმაკურნებელი წამალი.

მაგრამ კაცობრიობის ნაწილი ასე სულაც არ ფიქრობს, რადგან არ სჯერათ ღმერთის და მარადიული ცხოვრების.

უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი — შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?

ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს.

ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად" მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთარი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმ ქვეყნად არაფერი არ არსებობს.

ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.

საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა" ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...

და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას.

სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია!

ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია!

ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს.

საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები". მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული.

თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების წინ წამოწევას ემსახურება.

ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას!

ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც.

როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის" გამოვლინება და გამოხატულებაა 100000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, — კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის... გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების" პოპულარიზაცია.

ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ.

ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერჯერობით აკრძალულია, ხოლო სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ — მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო ამ საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა.

ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მტკიცე ოჯახისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც გვსურს, რომ გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება:

მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებლები; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია.

საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოძიება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია.

თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი.

ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო.

ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა.

ავადმყოფის მკურნალობა ასევე დამოკიდებულია ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად იქცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილების ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისათვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა.

დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორიცაა თუნდაც ტუბერკულოზი.

აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ინტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადების, ისე C ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე დაავადებულებში – დროული მკურნალობა.

ჩვენი ტკივილია, რომ საქართველოს პენიტენციარულ დაწესებულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ.

კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებსაშიშია.

აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში ახლობლების მზრუნველობის ქვეშ.

პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულებაა და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა.

ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისაკენ იძულებით მიემართა, რომ ისინი ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც აღარ გადაეტანათ?

ღმერთი სულია, – წერს პავლე მოციქული, – და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. (II კორ.3,17ძ.

ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის.

თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განღმრთობა.

რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უმზადებს?!

„საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია“ – წერს II-III საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე.

ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდებარება ცოდვას.

ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისათვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება. სულის, გულისა და გონების განწმედა, წმინდა წერილისა და სალვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვა და დახმარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა.

ძველი ნათქვამია: მსგავსი მსგავსს შეჰხარის და შეიცნობსო.

ბუნებრივია, სადაც სიბნელეა, იქ სინათლე ვერ იქნება, სადაც ჭუჭყი ბუდობს, იქ სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც ჭეშმარიტი რწმენა ვერ იარსებებს უზნეობისა და ცოდვის გარემოში.

ხოლო ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს, ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, – სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს – მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8ძ; მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11,25ძ.

ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდინნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!

**ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!**

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

**ილია II**

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

აღდგომა ქრისტესი.
თბილისი, 2012 წელი.



**შევხედოთ სიმართლეს თვალებში**

# ივანიშვილის რა განხორციელებული პროექტები და რა საქმეები მიითვისა სააკაშვილმა

**2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას. ამ წლებში ბიძინა ივანიშვილის მილიონებით უამრავ საქვეყნო მნიშვნელობის პროექტს შეესხა ხორცი, რაც ნაციონალებმა თავისად მიიწერეს – პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ბევრი ობიექტი საზეიმო ვითარებაში გახსნა.**



**ჯერ თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინფორმაციას გავეცნოთ:**

**ამ ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს განსახორციელებელი ან დასასრულებელი პროექტების (სულ 30 პროექტი) საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ 115 488 911 ლარი შეადგინა. კერძოდ, რაგბის სტადიონების მშენებლობის პროექტი „ქართუს“ მიერ 12 710 000 ლარით დაფინანსდა, ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაციის პროექტი – 12 647 000 ლარით, ხოლო ნატანების საკონცერტო დარბაზის მშენებლობა – 26 400 000 ლარით“.**

**რამდენიმე ათეული მილიონი ლარითაა დაფინანსებული სხვადასხვა სახის პროექტები საჩხერეში, მათ შორის სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა (18 800 000 ლარი), გაზიფიცირება (2 300 000 ლარი), შიდა გზების რეაბილიტაცია (4 200 000 ლარი), წყალკანალის ქსელის მშენებლობა (2 300 000 ლარი). 2011 წლის პროექტებს შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია (5 100 000 ლარი), ბათუმის მერიის დახმარება ბათუმის პარკის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (1 100 000 ლარი), სოფელ ბორითთან ემერჯენსის მშენებლობა (2 600 000 ლარი) და სხვა.**

**ოფიციალური მონაცემებით, 2005-2010 წლებში ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდებიდან საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტისთვის 966 897 320,12 ლარი დაიხარჯა. აქედან 2005 წელს – 82 020 0178,48 ლარი, 2006-ში – 257 282 888,09 ლარი, 2007წელს – 184 734 569 ლარი, 2008-ში – 174 421 998,95 ლარი, 2009 წელს – 129 732 300,8 ლარი და 2010 წელს 138 705 545,8 ლარი.**

**ახლა მოვუსმინოთ თვითონ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს, რომელმაც სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რაც ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლამდე განხორციელდა:**

**ჩამონათვალში: სამების ტაძარი, ქობულეთის გასართობი ცენტრი – „ციცინათელა“, საბაგირო გზა ბაკურიანში, თეატრების რემონტები (ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა; იქვე მითითებულია, რომ თეატრები დღემდე იღებენ ხელფასს ივანიშვილისგან; ყველაფერი, რაც საჩხერეში გაკეთდა და კეთდება); პრომეთეს მღვიმე; უნივერსიტეტის პირველი კორპუსი; ბათუმის დელფინარიუმი; ბათუმის ზოოპარკი; ბოტანიკური ბაღი; ყველა სარაგბო სტადიონი; რაგბის ნაკრების სპონსორობა; საფეხბურთო ცენტრი „ბასა“; ბათუმის ეშმაკის ბორბალი; გორი-ჭიათურა-ზესტაფონი ტრასის ასფალტირება; ფილარმონიის რემონტი; იაფი აფთიაქი „ფარმადეპო“; პატრულის მანქანები; სკოლების რეაბილიტაცია მთელ საქართველოში; ეროვნული ბიბლიოთეკის რემონტი; საჩხერისა და გორის ბაზები; თბილისი-ხაშურის ავტობანის თანადაფინანსება; სიღნაღი; ქუთაისის ძველი უბნების რეაბილიტაცია; უამრავი სახლ-მუზეუმი; თბილისის კანალიზაცია.**

ფიქრები

ნებისმიერი წერილის შემქმნელი ხალხია, არა პოლიტიკოსები, იტყვიან! კი ბატონო, მაგრამ განა პოლიტიკოსები ადამიანები არ არიან? დიახ, პოლიტიკოსებიც ხალხის ნაწილია... მაგრამ ამ შემთხვევაში მე საზოგადოებაზე, თუნდაც მასაზე მოგახსენებთ. ნებისმიერ ფორმაციას, ნებისმიერ ცივილიზაციას თავისებურ ფორმას და თავისებურ შინაარსს აძლევს ამა თუ იმ კონტინენტზე დასახლებული ესა თუ ის ერი, ესა თუ ის ხალხი მას თავის ტანზე, თავის ხასიათზე, თავის გემოვნებაზე მოირგებს და ისეთ სახეს, სახელმწიფოს აიშენებს, როგორიც მის შესაძლებლობებს ხელეწიფება.

ამ ლოგიკამ ჩემს საქართველოზე დამაფიქრა. სად ვიყავით, რაზე ვიყავით ორიენტირებული, რა გზა გავიარეთ და სად მოვედით. გასულ საუკუნეში საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო. მაგრამ იგი თავად რუსეთში არსებულ წყობილებისაგან განსხვავდებოდა... აღრეულ ფორმაციებსაც თუ გავიხსენებთ, აქაც ისტორია ბევრ საინტერესო ამბავს გვეუბნება. პატრონი და ყმა რომ ერთ სუფრას მიუსხდებოდნენ და ერთად ილხენდნენ, ამის მაგალითები თურმე არც ისე იშვიათი ყოფილა ჩვენში, სხვა ქვეყნების ისტორიისაგან განსხვავებით. ერთი სიტყვით, ისტორია არც ისე ავ ხალხად წარმოგვაჩენს და ვინ იცის ეს მართლა ის სინამდვილეა, რაც ჩვენს ხასიათში დევს თუ მეისტორიენი აფერადებდნენ ჩვენს სოციალურ- პოლიტიკურ ყოფას. ახლა ბევრი ფიქრობს ალბათ, ზოგი მოაზროვნე ქართველი ალმაცერად უყურებს ჩვენს ისტორიასაც, და რაც მთავარია, ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიასაც. ვიცით, რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენი ერის ღირსეული წარმომადგენლები თავგანწირვით იღვწოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მათ ბრძოლას, ბევრი საფუძვლიანი და უსაფუძვლო, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, რომც მოჰყოლოდა, ჩვენი დღევანდელი ყოფის, შეხედვის, კულტურის გათვალისწინებით, ვინ იცის როგორი სახით და ფორმით მოვიდოდა იგი ჩვენამდე..

ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენმა ქვეყანამ როგორც იქნა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქართველმა ხალხმა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზად დემოკრატიული წყობილება აირჩია. ამ არჩევანმა ევროპასა და ამერიკაში ბევრი მეგობარი შეგვძინა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ჩვენშია რაღაც საგრძნობლად დიდი პრობლემა, რადგანაც დღემდე არც ნამდვილ დამოუკიდებელ ქვეყანას ვგავართ და არც დემოკრატიის მშენებლებს. ამ პრობლემამ დამაფიქრა და მათქმევინა სწორედ ის, რაც წერილის დასაწყისში ვახსენე – ამა თუ იმ ფორმაციას ხალხი თავის ტანზე ირგებს და ნამდვილისაგან განსხვავებულ ფორმას აძლევს მას... ამის მაგალითი ქართველ ხალხს უკვე გვაქვს.

არჩევანი კი, ვითომ სწორი გავაკეთეთ, მაგრამ ამ არჩევანის შემდეგ აგერ, უკვე ოცი წელი გავიდა და ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას დემოკრატიულობის მახასიათებელი ნიშნები, ყოველწლიურად აკლდება . თავდაპირველად არჩეული გზა განზე გვრჩება და ძნელია ვინმემ გვითხრას იმ გზის რაობის შესახებ, რაზედაც ახლა ვდგავართ. არ ვიცი, რა დავარქვა ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას.: „სალათას ძილი"? (საუკუნეა, რაც ამ ძილზე ვსაუბრობთ!ძ, თუ, პირიქით, უძილობით გადაქანცვა? არ ჩანს ცხოვრების უკეთ მოწყობის არანაირი ინტერესი, არანაირი მიზანდასახულება. ამას როგორ ვერა ხედავთ ქვეყანა როგორ გალამაზდაო?..ვხედავთ, როგორ არა, მაგრამ იმასაც ვამჩნევთ, ერთი კარგი სიახლის გვერდით სარეველა ბალახივით, ათასი სიგლახე და სიმახინჯე რომ ამოიწვერება ხოლმე. და ჩვენც ვეჩვევით უპატრონო ბავშვებისა და მათხოვრების სიმრავლეს, გულგრილად ვუცქერთ მთაგორიანი სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელებას., არ ვფიქრობთ მოტიალებულ საზღვრებზე, პირში წყალჩაგუბებული შევყურებთ დაუსაქმებელთა მომრავლებას, უფასო სასადილოების გადატვირთვას პასიურ ღარიბთაგან და აქტიურთა გაქცევას საზღვარგარეთ... საღამოობით, გამოფიტულები ვსხედვართ ტელევიზორების წინ და თითქმის ვერთობით კიდეც იმ ამორალური სურათებით და უზნეობით, რაც სინამდვილეში ხდება ჩვენი სოციალური თუ პოლიტიკური ყოფის სარბიელზე. გულგრილები

## ვინ და რამ უნდა გამოაფხიზლოს ხალხი!..



ვართ ერთმანეთისადმი და საკუთარი ცხოვრებისადმიც კი.

რა იქნება ხვალ? ხვალ ვიღაც გოლიათი (ნუთუ უცხოპლანეტელი?ძ, კეთილი გმირი, ხალხს არც შეაწუხებს და არც რამეს ჰკითხავს, ისე, ხელში აიღებს ქვეყნის მმართველობას და მოგვივლის და გვიპატრონებს ყველას. ზეგიდან დაიწყება კარგი ცხოვრება. აი, ამდაგვარი აზრებით „შთაგონებულნი", მაგრამ უკვე საკმაოდ დაბეჩავებულ- დაჩაჩანაკებულნი მივაბიჯებთ ჩვენს ტალახიან გზაზე, რომელსაც დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მოგვიასფალტებენ, მერე დაგვირიგებენ ვაუჩერებს, მთავრობის არჩევნების წინ მოგვიმატებენ პენსიებს, ზოგიერთ ღარიბ ოჯახს ესტუმრება პრეზიდენტი, მოეფერება და გადაკოცნის დაუძლურებულ ბებიას, ეს ამბავი გაახარებს და აღაფრთოვანებს ხალხს. ერთხანს სალაპარაკოდ ექნება მთელ სოფელს... მერე პარლამენტს გადაიტანენ ქუთაისში, აქაც აღფრთოვანება დაეუფლება მთელ იმერეთს: ეს რა ბედნიერებაა, მთავრობა აგერ, ა, ყურის ძირში გვიზისო. ქვეყნის ძირითად კანონს, კონსტიტუციას, ვითარებისა და ხელისუფლების სურვილის მიხედვით, ჩაემატება ან ამოაკლდება ესა თუ ის მუხლი. მერე, ვიცით რაც მოხდება... აშენდება სასახლე შადრევნებით, საიდანაც შადრევანივით გადმოიღვრება რძე და... ჭაჭის არაყი! ქალაქიც აშენდება, მსოფლიოში ჯერ რომ არ ყოფილა ისეთი...ასე და ამრიგად, დამარცხდებიან რუსეთის აგენტები. დამარცხდება ის რუსეთუმე ოლიგარქიც, რომელმაც ათეული წლების მანძილზე ბევრი ქართველი გამოკვება და საუკუნის არქიტექტურული შენობაც აუშენა ქვეყანას სამების ტაძრის სახით (ვინ კითხავდა ნეტავ!ძ, ახლა მოქალაქეობაც რომ უნდა! წარმოგიდგენიათ?

ამ პოლიტიკური და სოციალური სურათის შემოქმედთა მიმართ ჩვენი ხალხი მუდამ ერთგული იქნება, არჩევნებში მუდამ მათ მისცემს ხმას, მუდამ...

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, უნებურად სადღაც, სულ სხვაგან გამექცა კალამი. არადა, გულდასმით და მწყობრად მინდოდა მომეყოლა როგორ ეკითხებოდნენ ზუგდიდელებს ჩვენი ყოჩაღი ჟურნალისტ-კორესპოდენტები ქალაქში შეიარაღებული ბრიგადების არსებობისა თუ არარსებობის შესახებ (ირაკლი ალასანიას ცნობილი ბრალდების გასაქარწყლებლადძ და როგორ წარბშეუხრელად უარყოფდა ეს პატიოსანი ხალხი, რას მიქვია, ჩვენთან რა უნდა შეიარაღებულებს, ვინ თქვა ეს სასწაულებიო!.. დიახ, ორ სერიად იყო ჩამოყალიბებული ზუგდიდელთა გამოკითხვა შეიარაღებულთა არსებობა-არარსებობის შესახებ ერთ-ერთ სამთავრობო სატელევიზიო არხზე და ამ ფაქტის კატეგორიულად უარმყოფელი ხალხიც გვახილვინეს ეკრანზე. მაგრამ მესამე სერიაც იყო!.. და სწორედ ეს იყო სასწაული, როცა თავად ამ ყოჩაღმა ჟურნალისტებმა დაგვაკვალიანეს ამ სერიების მაყურებლები და საგულდაგულოდ გვანახეს ზუგდიდელი შეიარაღებული ახალგაზრდები, როგორ ხალისით ეწერებიან სარეზერვო რაზმებში, როგორ ურიგებენ მათ იარაღს, ტანსაცმელს, სამხედრო აღჭურვილობას, დღეში სამჯერ გამოკვების ფაქტიც არ გამორჩენიათ და არც ის, დღის ბოლოს რომ ბრუნდებიან შინ (თუ არ ვიცი, სად...ძ სამხედრო ვარჯიშებით გამოწრთობილი რაზმელები. ოღონდ , თურმე ეს ახალგაზრდა შეიარაღებულები თავიანთი ინიციატივით, უხელფასოდ ასრულებენ ამ საკაცო, მამულიშვილურ მოვალეობას და ესენი ბანდ - ფორმირებები კი არა (სულელი ოპოზიციონერები!ძ , არამედ რეზერვისტები არიან. ალასანიას მიერ ჩამოთვლილი კრიმინალები კი რომელ ბრიგადაში იმყოფებიან, ეს არავის განუმარტია ხალხისთვის, მაგრამ არც არავის უარუყვია მათი იქ არსებობა. ისე , კაცმა რომ თქვას, ამ უმუშევრობასა და უსახსრობის დროს თუ ახალგაზრდას ჩააცმევ, დაახურავ, დღეში სამჯერ გამოკვებავ, ნდობას გამოუცხადებ და იარაღს სახლში გაატან... მერე არჩევნებშიც კი მოგცემს ხმას არა მარტო თავად, ოჯახის წევრებსაც აიყოლიებს, ალბათ, და სხვა საქმეშიც გამოგყვება უთუოდ...

ასე იფიქრა ამ დალოცვილი სერიების მაყურებელმა, საოცრად გაოცებულმა იმით, თუ რატომ უარყოფდნენ ზუგდიდელები შეიარაღებულების და რაზმელების არსებობას თავიანთ ქალაქში? ხომ შეეძლოთ ეთქვათ, რომ, კი ბატონო, ჩვენი შვილები (ძმები, ბიძები თუ შვილიშვილები, მეზობლები თუ ნაცნობებიძ სიამოვნებით შედიან რეზერვისტთა რაზმებში და იქ იწრთობიანო. რატომ მალავდნენ საგულდაგულოდ, შეიარაღებულები ჩვენს ქალაქში არავინ არისო... არც კი კითხულობდნენ რომელ და რა სახის შეიარაღებულებზე იყო საუბარი... ან მალავდნენ რაღაცას, ან ეშინოდათ რაღაცის.

დამფრთხალი და შეშინებული ხალხი... არა და ჩვენი ცნობილი პოლიტიკოსები სულ იმას გაიძახიან „ ხალხი უფრო მაღალია ხელისუფლებაზეო", ესტონელმა ხალხმა მოინდომა და მართლაც სანიმუშო დემოკრატიული ქვეყანა აიშენაო, არადა, ამ დალოცვილ ქვეყანაში ესტონელ აბორიგენებს ლამის რუსები სჭარბობენ! საინტერესოა, როგორ დაიძმობილ- გაიმოქალაქეს ესტონელებმა ეს რუსები, რომელთაც ერთი-ორი ნათესავი მაინც ხომ ეყოლებათ რუსეთში, (ალბათ, მოგზაურობენ კიდეც იქ და რუსული ფულითაც სარგებლობენ!ძ.

ხალხზე და ხალხის ძალაზე, უნარსა და შესაძლებლობებზე საუბრობენ ხშირად ჩვენი პოლიტოლოგები, მისი რიდი და პატივისცემა უნდა ჰქონდეს მთავრობასო. დიახაც, უნდა ჰქონდეს, მაგრამ ხალხი რომ ბრბოდ იქცევა, ყურმოჭრილ მონად და უღირსებო მასად, – ეს ნეტავ რა პროცესია და როგორი ვითარების შედეგია.

დემოკრატიული წყობილების მოსასხამიდან საწყლად იცქირება საქართველოს შეშინებული მოსახლეობა. ან სულაც არ იცქირება, თავჩაქინდრულია და მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე ფიქრობს. ათასობით ქართველს ახლა თურქეთში ჩაის საკრეფად გაქცევაზე უჭირავს თვალი. ევროპის ქვეყნებში გაქცეულებიდან კი ასობით ახალგაზრდა ქართველია დაპატიმრებული ქურდობისა და ყაჩაღობის ბრალდებით... ტოტალური მიგრაცია გრძელდება. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მომხდარ ამა თუ იმ სახის კატასტროფების შესახებ ინფორმაციის მოსმენა ორჯერ მეტად მიმძიმს, ათობით თუ არა, თითო-ოროლა ქართველი ხომ უეჭველად არის იქ მოყოლილი. თვალდახელშუა, უაზროდ და უკვალოდ იფანტება ჩვენი ერი. და ამ დროს სულ სხვა სურათს გვიხატავენ მავანნი . არიან ასეთები. გულმოდგინედ მალავენ ზურგსუკან მამალს, მაგრამ კუდი ხომ მოჩანს! არავითარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მხოლოდ ერთი სურვილი მეფობს მათზე; დემოკრატიული მანტიის მორგება მსოფლიოს დასანახად. ყველგან, ყველა სარბიელზე იგრძნობა უპასუხისმგებლობა, გულგრილობა. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ხალხის: გამოფხიზლება, შემართება. **და იბადება კითხვა: თუ არსებულმა სიტუაციამ არ გამოიწვია საყოველთაო გამოფხიზლება, სხვამ ვინ და რამ უნდა გამოაფხიზლოს ხალხი!**

გულნარა სტურუა

ბენდუქიძისეული კანონი უნდა შეიცვალოს!

## კოდექსი, რომელიც ადამიანს შრომის სურვილს უკლავს

ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ პრობლემა მხოლოდ უმუშევრობაა, დასაქმებულ ხალხს კი საწუწუნო არაფერი აქვს. სინამდვილეში, დასაქმებულ ადამიანებსაც უამრავი წინაალმდეგობა ხვდებათ, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამუშაო პირობებთან და სამუშაო გარემოსთან.

არასათანადო ანაზღაურებას თითქმის ყველა დასაქმებული ასახელებს უმთავრეს პრობლემათა შორის. ასევე ბევრია ისეთიც, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმ საქმით, რასაც აკეთებენ. მხოლოდ იმის გამო, რომ შემოსავალი არ დაკარგონ, უწევთ ისეთი რაღაცების კეთება, რაც არ აინტერესებთ.

პრობლემაა შრომის დასახ[illegible] და ხშირ შემთხვევაში უფროსების მხრიდან თანამშრომლებთან უხეში დამოკიდებულება. როგორც წესი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8-9 საათია. თუმცა, ზოგიერთ ორგანიზაციაში თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე იმუშაონ დასვენების დღეებშიც და ოფისიდან დროულად ვერასდროს გადიან.

ამ შემთხვევაში დამოკიდებულება დასაქმებულებისადმი საკმაოდ მარტივია – თუ არ მოგწონს, შეგიძლია ახალი სამსახური ეძებო.

ქვეყანაში, სადაც ამდენი უმუშევარია, საშუალო ხელფასი ძალიან დაბალია, წლების განმავლობაში ხალხს უფასოდ ამუშავებენ ან თითრებს უხდიან და სტაჟიორებს ეძახიან, რთულია ვინმემ საკუთარი უფლებების დასაცავად ხმა ამოიღოს. მის ნაცვლად მართივად იყვნიან ისეთს, რომელიც კაბალურ პირობებზეც კი მადლიერი იქნება და ხმას არ ამოიღებს.

ამიტომაც ყველა სპეციალისტი თუ პოლიტიკოსი „შრომის კოდექსის" შეცვლას ითხოვს. ბოლო, ვინც კოდექსი გააკრიტიკა, სახალხო დამცველი იყო, რომელმაც პარლამენტში გამოსვლისას შრომის კანონმდებლობის გადახედვა მოითხოვა.

როგორც გიორგი ტუღუშმა აღნიშნა: „შრომის კოდექსით", ძირითადად, მხოლოდ ფეხმძიმე ქალების უფლებებია დაცული, თუმცა ისიც – მეტ-ნაკლებად. ამ დროს კი ქვეყანა აცხადებს მზადყოფნას, მოახდინოს სრული ინტეგრირება ევროკავშირში. ამიტომ ხელისუფლებას მოუწევს გადახედოს იმ სტანდარტებს, რომლებიც მოქმედი შრომითი კანონმდებლობით არის დადგენილი.

ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულთა უფლებები და იმათი უფლებებიც, რომელთა დამსაქმებელთან ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი კოდექსით, უნდა გადაიხედოს და მათი დაცვის სტანდარტი ამაღლდეს.

გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენელთა განცხადებით, თუ მოქმედი შრომის კოდექსი არ შეიცვლება, საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმებაში, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას.

პროფკავშირები ხელისუფლებას შრომის კოდექსის შეცვლის ვალდებულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის დამალვაშიც ადანაშაულებენ. გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურებთან აიღო ვალდებულება და დადო პირობა, რომ უახლოეს მომავალში შრომის კოდექსს შეცვლის.

რამდენად მოხდება კანონმდებლობაში ცვლილება, მალე გამოჩნდება. საქართველოს მთავრობაში საკმაო ხანია შექმნილია შრომის კოდექსზე მომუშავე კომისია, რომელშიც ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე პროფკავშირების და დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები შედიან, თუმცა ჯერჯერობით ბენდუქიძისეულ შრომის კოდექსს „არაფერი ემუქრება".

გიორგი ბექაური,

Presage.tv

ძველი სკანდალის ახალი ინტერპრეტაცია




# „ქართუ ბანკის“ საწინააღმდეგო ოპერაციებში ოქრომ გამოანათა

**„ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ ძველი სკანდალი ახალი ინტერპრეტაციით აგორდა. მოქალაქე ვარდუკაძე 9 წლის წინანდელ ამბებს იხსენებს და ბანკს ოქროს მითვისებაში ადანაშაულებს. „ქართუში“ კი თვლიან, რომ ყველაფერი უზენაესი სასამართლოს დონეზე გადაწყდა და ვერაფერი შეიცვლება. ბანკის პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის აზრით, კახაბერ ვარდუკაძეს აქვს ბრალდებები, რომელიც დოკუმენტურად არ არის გამყარებული.**

**„ქართუ ბანკს“ 27 კილოგრამი ოქროს მითვისებაში ადანაშაულებენ. კახაბერ ვარდუკაძე, რომელიც 9 წლის წინათ ლომბარდების მფლობელი იყო, ამბობს, რომ ოქრო „ქართუში“ შეჰქონდა და იქიდან თანხა გამოჰქონდა და კლიენტებზე გასცემდა. 2003 წელს კი ბანკში ოქრო გაქრა.**

ვარდუკაძეს 2002 წელს ჰქონდა სალომბარდო ბიზნესი და ბანკ „ქართუსთან“ გირავნობის ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც, „ბანკ ქართუს“ ლომბარდში შეჰქონდა ოქრო და სანაცვლოდ გამოჰქონდა შესაბამისი თანხა, რომელსაც კლიენტებზე გასცემდა. მისი თქმით, 2003 წელს ბანკში შეტანილი ოქრო დაიკარგა, რის საფუძველზეც პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იგი დაზარალებულად ცნეს, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ კონკრეტულ პირთა დაუდგენლობის მოტივით საქმე შეწყდა.

**„2005 წელს განმეორებით შევიტანე საჩივარი და ჩემი განცხადების საფუძველზე საქმის წარმოება ისევ განახლდა. განმეორებით ჩატარდა დაკითხვები, რევიზიები, ექსპერტიზები და ა.შ. ისევ მცნეს დაზარალებულად და მოსარჩელედ. ამ ხნის განმავლობაში ბანკის ხელმძღვანელობას არც ერთხელ გამოუჩენია ინიციატივა საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა, რომ სიმართლე არ დადგენილიყო. დანაშაულის დაფარვის მიზნით გამოძიებას დაუმალეს დოკუმენტები და მოახდინეს საბუთების გაყალბება.**

**დავიწყე სამოქალაქო დავა სასამართლოში, რომელიც 2008 წლის 13 ივნისს დასრულდა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ბანკ ქართუს“ ჩემს სასარგებლოდ დაეკისრა 266 585 აშშ დოლარის გადახდა. 2008 წლის 19 ივნისს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი 5 დღის ვადით“,** — აღნიშნა ვარდუკაძემ.

მისი თქმით, სასამართლო დავის პროცესის განმავლობაში მასზე და მისი ოჯახის წევრებზე ხორციელდებოდა მუქარა, ზეწოლა, დაშინება და პროვოკაციები, ხოლო საცხოვრებელი სახლი უცნობმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს.

**„გარდა ამისა, ჩემს 5 მცირეწლოვან შვილთან ერთად ავტომანქანაში ვიმყოფებოდი და უცნობმა პირმა 15 ტყვია გვესროლა. საბედნიეროდ, გადავრჩით. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადამდე ორი დღით ადრე ბანკის ორმა პასუხისმგებელმა პირმა, გვარად მიქაბერიძემ და ფურცხვანიძემ ცრუ აღიარებითი ჩვენება მისცეს, თითქოსდა ჩემი თანამონაწილეობით მიითვისეს ჩემს მიერ ბანკში შეტანილი 27 კილოგრამი ოქრო, საიდანაც ოქროს 60% თვითონ აიღეს და 40% მე დამიბრუნეს“,** — ამბობს ვარდუკაძე.

მისი ინფორმაციით, აღიარებითი ჩვენების შემდეგ აღნიშნულ პირებს ერთ დღეში გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება და 3 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**„საქმეში აღმოჩენილი ახალი გარემოებისა და ორი პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, შეაჩერეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. მცნეს ექჭვმიტანილად, დაიწყეს ჩემი დევნა და გაორმაგებული ზეწოლა, რათა უარი მეთქვა ჩემს მიერ სასამართლოში მოგებული თანხის აღებაზე.**

**მიუხედავად მრავალი მცდელობისა, დამეცვა ჩემი სიმართლე, უშედეგო აღმოჩნდა. ვიცოდი მათი მუქარების სერიოზულობა, ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების მიზნით, 2008 წლის 25 ივლისს იძულებული გავხდი დავთანხმებოდი მათ მიერ წამოყენებულ პირობებს“,** — აღნიშნა კახაბერ ვარდუკაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული გარემოებების შემდეგ ბანკმა „ქართუმ“ არათუ დასაჯა და სამსახურიდან გაათავისუფლა გიორგი მიქაბერიძე, არამედ ჯერ ბათუმის ფილიალში გადაიყვანა, შემდეგ თბილისში, საბურთალოს რაიონის ფილიალში დააბრუნეს, ხოლო ამჟამად „ქართუ ბანკის“ რისკების ჯგუფის ხელმძღვანელია. კახაბერ ვარდუკაძეს სურს ბიძინა ივანიშვილისთვის ხმის მიწვდენა, რათა ბიზნესმენი გაერკვეს აღნიშნულ ვითარებაში.

„ქართუ ბანკის“ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილს მოქალაქე კახაბერ ვარდუკაძის 27 კილოგრამი ოქროს ბანკის მიერ მითვისების საკითხი არ აინტერესებს. როგორც სააგენტო „პირველს“ ჯავახიშვილმა განუცხადა, ვარდუკაძესა და „ქართუ ბანკს“ შორის ურთიერთობა უზენაესი სასამართლოს დონეზე გადაწყდა და ის ვერაფერს შეცვლის.

**„მე კახაბერ ვარდუკაძეს შევხვდი. ჩვენ ვისაუბრეთ ყველაფერზე, მაგრამ პრაქტიკულად არაფერზე გვისაუბრია, რადგან მას განვუმარტე, რომ აღნიშნული საკითხი უზენაესი სასამართლოს დონეზე გადაწყდა და მე ვერაფერს შევცვლიდი. სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე რისთვის მოვიდა. მას ჰქონდა ბრალდებები, რომელიც დოკუმენტურად არ იყო გამყარებული“,** — აღნიშნა ჯავახიშვილმა და დასძინა, რომ ეს თემა არც აინტერესებს.

რაც შეეხება გიორგი მიქაბერიძის ფიგურას, რომელიც 2003 წელს „ქართუ ბანკის“ კლიენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი იყო, ახლა კი „ქართუ ჯგუფში“ საოპერაციო რისკების მართვის განყოფილებას ხელმძღვანელობს, ნოდარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ მიქაბერიძემ აღნიშნულ საქმეზე სასჯელი მოიხადა.

**„ქართუ ბანკში“ რომ მოვედი, 340 თანამშრომელი დამხვდა და ვარდუკაძეს ხომ არ დავეკითხებოდი, ვინ დამეტოვებინა და ვინ — არა“,** — აღნიშნა ჯავახიშვილმა.

რაც შეეხება მუქარას და თავდასხმას, ჯავახიშვილს აინტერესებს, კახაბერ ვარდუკაძეს თუ ტყვიებს ესროდნენ და ემუქრებოდნენ, რატომ არ წავიდა პოლიციაში...

**ეკა ბაქრაძე**

რაც ხდება

# გვეკუთვნის თუ არ გვეკუთვნის, მაინც ვიხდით

**წლევანდელი იანვარი ისევე, როგორც მანამდეც და მერეც, ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს სხვადასხვანაირად დაგვამახსოვრდა, მაგრამ ერთი „სასიხარულო“ რამ, ნამდვილად, ყველას ერთიანად გვქონდა: უთუოდ გემახსოვრებათ, პატივცემულო მკითხველო, რომ თვის ბოლოს თქვენ, ისევე, როგორც ყველა ჩვენმა თანამემამულემ, მობილური კავშირის თავისი ოპერატორი კომპანიის SMS-შეტყობინება მიიღო. სხვა აუარება მესიჯისგან განსხვავებით, რომლებითაც ათასგვარ გათამაშებაში თუ აქციაში მონაწილეობის მიღებას გვთავაზობენ, ეს გზავნილი ერთობ იმპერატიული ტონისა იყო და მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მთავრობის № 489 ბრძანების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან მობილური ტელეფონის ყველა მფლობელს ანგარიშიდან თვეში 20 თეთრი ჩამოეწერებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „112“-ის მომსახურების სასარგებლოდ. აქვე ერთი „შეღავათიც“ იყო აღნიშნული: ეს მხოლოდ მათ შეეხებათ, ვინც თვეში მობილური ტელეფონით ლაპარაკში 5 ლარზე მეტს ხარჯავს.**

გარდა ამისა, ისიც იყო აღნიშნული, რომ იურიდიული პირებისთვის ეს გადასახადი ორნახევარჯერ მეტი ოდენობით, ანუ 50 თეთრით განისაზღვრა, თან დაბეგვრის იგივე წესი ვრცელდება ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონების ტელეფონების აბონენტებზეც.

თავისთავად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური „112“, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირია, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი „911“ სამსახურის ანალოგს წარმოადგენს და, სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის.

ოფიციალური ინფორმაციით, ტელეფონით 112-ზე დარეკვით მოსახლეობას დახმარების გამოძახება შემდეგ გარემოებებში შეუძლია: **სახანძრო და სამაშველო სიტუაციებში; გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამართალდარღვევისას შესაბამისი სამსახურის გამოძახების აუცილებლობისას; ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის, ანდა წნევის დასაშვები ნორმიდან გადახრის შემთხვევაში რეაგირებისა და სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ანდა წნევის ცვალებადობის შემთხვევაში რეაგირების საჭიროებისას.**

**სხვადასხვა სახის გადაუდებელი დახმარების გამოძახებისას „112“-ის სამსახური უზრუნველყოფს ყველანაირი საგანგებო სიტუაციის შესახებ სატელეფონო შეტყობინებების მიღებას, დამუშავებას, შეფასებასა და მასზე შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამისი უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აღნიშნული სამსახური ვალდებული იქნება საგანგებო სიტუაციების შესახებ მიღებულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირება უზრუნველყოს.**




აი, ეს გახლავთ „112“-ის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია და აქ, რომ იტყვიან, ყველაფერი რიგზეა და სავსებით გასაგები. მაგრამ სრულიად გაუგებარია ის, რომ ეს ერთიანი სამსახური ჯერაც არ მოქმედებს, მაგრამ მოსახლეობა მას, ასე ვთქვათ, „დაუსწრებლად“ გადასახადს უკვე უხდის, რაც, ჩვენი აზრით, ხარკს უფრო ჰგავს, ვიდრე გარკვეული მომსახურების საზღაურს. ეგეც რომ არ იყოს, უკვე ხსენებული ამერიკული „ცხრა-ერთი-ერთი“ ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოქმედი ანალოგიური სამსახური მოსახლეობისთვის უფასოა, **მის ხარჯს ფედერალური ან ადგილობრივი ბიუჯეტი ფარავს, რადგან ეს არა პირადული, არამედ საზოგადოებრივი მომსახურებაა, რაშიც ყველა მოქალაქე გადასახადებს ისედაც იხდის.**

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები „112“ სამსახურის მომსახურებაზე გადასახადის დაწესების აუცილებლობა მის ასამოქმედებლად საჭირო სახსრების მობილიზაციის საჭიროებით ხსნის, თუმცა კი არავინ ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ ყველა ის სამსახური, რომელიც მაისიდან „ერთ ჭერქვეშ მოიყრის თავს“, დღესაც მოქმედებს, მაგრამ გადასახადს მასში ერთიანად ყველას — სჭირდება მას თუ არა — ამჟამად არავინ ახდევინებს.

მასალის მომზადებისას რედაქციამ იმის დადგენა სცადა, თუ კონკრეტულად როდიდან ამოქმედდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური „112“, რისთვისაც სატელეფონო საინფორმაციო სამსახურ 118-08 დავუკავშირდით, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით იქ ზუსტი პასუხი ვერ გაგვცეს და ტელეფონზე 241-18-36-ზე დაკავშირება გვირჩიეს, მაგრამ ამ ნომერზე ყურმილს არავინ იღებს. ისე კი, რამდენადაც სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, „112“ 1 მაისიდან უნდა ამოქმედდეს, ანუ მთელი ოთხი თვის შემდეგ იმ დროიდან, რომლიდანაც მოსახლეობა მასში ფულს იხდის. არადა მარტო ამ ოთხი თვის მანძილზე, ყოველთვიური ხარკი მარტო მობილური ტელეფონების აბონენტებისგან „ჩამოწერილი“ აბაზ-აბაზით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 400 ათას ლარს შეადგენს! წელიწადში კი ამ გადასახადით მიღებული თანხა, არაოფიციალური გათვლით, 30 მილიონ ლარს გადააჭარბებს!

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მთავრობის ამ დადგენილების გაპროტესტება ლეიბორისტულმა პარტიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სცადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია, რადგან იქ საჩივრის განხილვაზეც კი უარი განაცხადეს.

გარდა ამისა, ექსპერტები აცხადებენ, რომ აღნიშნულ მომსახურებაზე გადასახადის გადახდა იურიდიულად არაა დასაბუთებული, რის დამტკიცებასაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამჟამად სასამართლოში ცდილობს. ეს ამბავი არც ეკონომიკური თვალსაზრისითაა გამართლებული, მით უმეტეს მაშინ, როცა მთავრობის დადგენილებაში პირდაპირაა მითითებული, რომ გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე აბონენტები ამ გადასახადისგან უნდა გათავისუფლდეს, თუმცა ამ მონიტორინგის პრაქტიკულად განხორციელება ერთობ პრობლემურია იმ მარტივი მიზეზით, რომ სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში ცვლილებები გამუდმებით მიმდინარეობს და მათ დროულად თვალის მიდევნებას საკომუნიკაციო ოპერატორები ნამდვილად ვერ შეძლებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ახირება

# რას მოგვიტანს მშენებლობა?

ამ კითხვაზე მოკლე პასუხი ასეთია: არაფერს სასიკეთოს, დიდი ეროვნული ზიანის გარდა. საერთოდ, როდესაც მცირერიცხოვან ქვეყანაში დიდი, ნახევარმილიონიანი ქალაქის მშენებლობას აპირებენ, იგი საყოველთაო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ჯერ კიდევ 1880 წელს ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა: „ყველასთვის მნიშვნელოვანი... რომ საზოგადოებრივი საქმეები ჩვენში წყდებოდეს წინასწარ და ყველას მიერ საჯაროდ განხილვის შემდეგ პრესის ფურცლებზე, რათა საზოგადოებამ იცოდეს... რატომ გამოცხადდება ესა თუ ის გადაწყვეტილება და არა სხვა რომელიმე“. ჩვენ კიდევ ერთი კაცის ხუშტურზე დავდივართ: ვცდილობთ, მთელი ქვეყანა ტურიზმის ობიექტად გადავაქციოთ, უზარმაზარი ქალაქი ავაშენოთ, ათასი თუ ათი ათასი ინგლისური ენის მასწავლებელი შემოვიყვანოთ და ჩვენს ახალგაზრდებს უმაღლესის დამთავრების დიპლომი არ მივცეთ თუ ინგლისურ ენას არ ფლობენ, ავტობანები გავიყვანოთ და ძველი შენობები მასობრივად გადავღებოთ, ნაწილს კიდევ რესტავრაცია გავუკეთოთ, ასე ვთქვათ, პოტიომკინის სოფლები ავაშენოთ (ამას ისიც მოწმობს, რომ გადაღებილ სახლებში დავით აღმაშენებლისა და რუსთაველის პროსპექტზე რამდენჯერმე მოხდა ძლიერი ხანძარი ელექტროსადენების სიძველის გამო), მაშინ როდესაც ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უაღრესად გაჭირვებულია და ასი ათასობით კიდევ მათხოვრობს, ან სანაგვე კონტეინერებში იქექება, რომ საკუთარი თავი, შვილი ან შვილიშვილი გამოკვებოს. მმართველი პარტია თავს იმით იწონებს, რომ შევარდნაძის პერიოდთან შედარებით პენსია 5-6-ჯერ გაიზარდა, მაგრამ იმის დავიწყებას ცდილობენ, რომ მსყიდველობითი უნარიანობით თითქმის არავითარი განსხვავება არ არის მაშინდელ და ახლანდელ პენსიებს შორის, იმასაც უმალავენ ხალხს, რომ იმ პერიოდში საშუალო თვიური ხელფასი და პენსია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის დაახლოებით თანაბარი იყო. მაგალითად, 1998 წელს საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 40 ამერიკულ დოლარს უდრიდა, სომხეთში 33 დოლარს, ხოლო აზერბაიჯანში 44 დოლარს. საშუალო თვიური პენსიაც საქართველოში მეტი იყო სომხეთში არსებულ პენსიაზე და ოდნავ ჩამორჩებოდა აზერბაიჯანში პენსიის ოდენობას. ამჟამად კი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს მაჩვენებლები ყველაზე დაბალია საქართველოში, და ისიც შესამჩნევად. ათი ათასლარიანი ხელფასის მქონე ჩინოვნიკები ჯიპებით და დაცვის თანხლებით ქვეყნის რომელიმე კუთხეში წინასწარ გაფრთხილებულ ღარიბ ოჯახებს ესტუმრებიან და თავის კუთვნილ ოცლარიან ვაუჩერებს გადასცემენ საჩუქრად. ამით ცდილობენ ხალხის გულის მოგებას. რომელი ერთი ასეთი სამარცხვინო ფაქტი ჩამოვთვალოთ.

სახელისუფლებო ტელევიზიები ამჟამად ცდილობენ, გამართლება მოუძებნონ ლაზიკას მშენებლობას. ქართველი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის დაჭაობებული ნიადაგია და იმ ადგილებში ქალაქის აშენება დაუშვებლად მიაჩნიათ. ამასთან მიუთითებენ, რომ იქ დაირღვევა ეკოლოგიური ბალანსი, რაც კატასტროფას გამოიწვევს. 2012 წლის 31 მარტს „რუსთავი-2“-ის გადაცემა „კურიერში“ სათანადო ადგილი დაეთმო ამ პრობლემის გაშუქებას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერონიკა ქობალიამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ, ეკონომისტმა ემზარ ჯგერენაიამ, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელმა კახა ბენდუქიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ლაზიკას მშენებლობა დიდ ინტერესს იწვევს და იგი იქნება მთელი რეგიონის ფინანსური ცენტრი. ხაზგასმით აღინიშნა იმის შესახებაც, რომ საბოლოოდ ლაზიკა იქნება თბილისისხელა ქალაქი და მისი მშენებლობა მნიშვნელოვანწილად აფხაზეთთან სიახლოვემაც განაპირობა. ბატონმა ემზარ ჯგერენაიამ ლაზიკას მშენებლობა იმ მოტივითაც გაამართლა, რომ აფხაზეთში არც ეკონომიკა არის და არც არაფერი, რუსეთი აფხაზეთს ფულს ინვესტიციებისთვის არ აძლევსო. ვერ ვიტყვით, ბატონ ემზარს რამდენად სჯერა, რომ ჩვენ ეკონომიკა გვაქვს, მაგრამ უახლოეს მომავალში, თუ აფხაზეთმა ამჟამად არსებული სტატუს-კვო შეინარჩუნა, რაც ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთი აფხაზეთში ინვესტიციების ჩადებას რომ არ დაიშურებს, მან ეს ნამდვილად უნდა იცოდეს. ბატონი ემზარი კარგი ეკონომისტი გახლავთ და ჩემთვის მით უფრო არასასიამოვნოა მისგან ასეთი მაამებლური საუბარი. აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ ლაზიკა უფრო მეტად იმ მიზნითაც შენდება, რომ იგი მიმზიდველი გახდეს აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის და თითქოს ამით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გადაწყდება. ბავშვური ლოგიკაა. საბჭოთა კავშირში ყველა საბჭოთა და ავტონომიურ რესპუბლიკას, ოლქსა და მხარეს შორის, რაოდენ პარადოქსად არ უნდა მოგვეჩვენოს, ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებლები ყველაზე მაღალი იყო ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, მაგრამ სამხრეთ ოსეთმა სეპარატისტული და გარეშე რეაქციული ძალების გავლენით მოითხოვა ჩრდილო ოსეთთან შეერთება. ამ შემთხვევაში სულ სხვა, ძირითადად პოლიტიკური ფაქტორები ასრულებენ გადამწყვეტ როლს.

სატელევიზიო გადაცემაში ქალაქ ლაზიკის მშენებლობის შესახებ მთლიანად ხელისუფლების სამოსელში გახვეული მოსაზრება გაგვიზიარა კახა ბენდუქიძემ. მისი საუბარი იმდენად უაზრო, გაუგებარი, მამალი შეცდომებით იყო სავსე, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ საუბრის დიდი ნაწილის სტილის დაცვით მოტანა. მართალია, კახა ბენდუქიძე დიდი ორატორი არასოდეს ყოფილა, მაგრამ არც ენა როდისმე მუცელში ჩავარდნია, ამ გადაცემის დროს კი ენა აღარ ემორჩილებოდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, ჩვენი ხალხის მიმართ ნიშნის მოგებით ენის გამოყოფა არც ამჯერად დავიწყებია. მაშ, ასე მოვუსმინოთ კახა ბენდექიძეს.

1. „ზოგადად ჩვენს ქვეყანაში არსებობს კომუნისტური დროიდან შემორჩენილი თავკომბალების პრობლემა, როდესაც სხვა ქალაქები პატარაა. საჭიროა დეცენტრალიზაცია... მთავარია, რომ ჩვენს შეგნებაში არ იყოს, რომ თბილისი არის ერთადერთი ქალაქი, სადაც ადამიანმა წარმატების მიღწევის შედეგად იცხოვროს“. ამდენად ბენდუქიძის აზრით, თბილისი საქართველოსთვის თავკომბალა ქალაქია. ბიოლოგმა კაცმა, რომელიც ეკონომისტობაზე თავს დებს, უნდა იცოდეს, რომ მცირერიცხოვან ქვეყნებში თითქმის უკლებლივ ყველგან ყოველთვის ერთი ქალაქია დიდი, ბენდუქიძის გაგებით „თავკომბალა“, თუმცა ასე სულაც არ არის. მაგალითად, 1987 წელს თბილისის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 22,9 პროცენტს უდრიდა, რაც მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ნორმალური ვითარებაა. ანალოგიური მაჩვენებელი იმავე წელს ტალინისთვის 30,8 პროცენტს შეადგენდა, რიგისთვის – 34,2 პროცენტს, ერევანისთვის – 34,3 პროცენტს. ამჟამად, მაგალითად, მეხიკოს მოსახლეობა მექსიკის მთელი მოსახლეობის (106 მილიონი) თითქმის 25 პროცენტს შეადგენს და ა. შ. როგორც ჩანს, ბენდუქიძისთვის ორი თავკომბალა ქალაქი უფრო მისაღებია, „სადაც ადამიანმა წარმატებით მიღწევის შედეგად იცხოვროს“.

2. „დასავლეთ საქართველომ დეპოპულაცია განიცადა მე-20 საუკუნის განმავლობაში. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოსახლდა თბილისში“. კახა ბენდუქიძე ამ შემთხვევაშიც არ არის მართალი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დეპოპულაცია არც მე-19 და არც მე-20 საუკუნეში არ მომხდარა. დეპოპულაცია მაშინ არის, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ჭარბობს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს. ეს კი დასავლეთ საქართველოში არ მომხდარა. მე-20 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობაც განუწყვეტლივ იზრდებოდა, მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის თბილისში გადმოსახლების მიუხედავად. მაგალითად, 1926 წელს დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა 1 339 ათასი კაცი, 1959 წელს – 1913 ათასი, 1989 წელს – 2 327 ათასი. უკანასკნელ წლებშიც იზრდება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. მაგალითად, 2011 წელს 2005 წელთან შედარებით მისი მონაწილეობა 50 ათასი კაცით გაიზარდა. აქ, ალბათ, ღირს გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც ცნობილ იუმორისტს სერგია ერისთავს გადახდა თავს. სერგია ერისთავი მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთი თავადიშვილის ოჯახში იმყოფებოდა სტუმრად. ოჯახის დიასახლისმა აღშფოთებით აღნიშნა, თბილისი იმერლებით აივსოო. სერგიამ დიასახლისს მიუგო: ქალბატონო, რომ იცოდეთ, ტუნელს იქით რამხელა რიგი დგას, გული გაგისკდებათო.

3. ლაზიკის მშენებლობასთან დაკავშირებული სატელევიზიო გადაცემის საკითხი, რომელიც მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის, სულ სხვა ხასიათისაა. კახა ბენდუქიძის ინტერვიუს მიხედვით „არის მნიშვნელოვანი საკითხი – ლაზიკა რატომ (შენდება) იმ ადგილას და არა ფოთში, ქობულეთში, ან გრიგოლეთში... ჩემი აზრით, ეს უკავშირდება იმას, რომ ლაზიკას ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება ტერიტორიას, რომელზედაც ჩვენ კონტროლს ვერ ვანხორციელებთ – ანუ აფხაზეთის ტერიტორიას... ეს არის ფასი, რომელსაც ჩვენ ვიხდით პოლიტიკური ამოცანის ამოხსნაში... ჩვენ ამით შევქმნით სპეციალურ კარს თუ ფანჯარას, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს, შემოიხედონ საქართველოში, შემოვიდნენ საქართველოში, ითანამშრომლონ ამ ნაწილთან, იმ ნაწილის საქართველოდან საქართველოს ამ ნაწილში და, ჩემი აზრით, შეიძლება შეიტანონ ძაან მნიშვნელოვანი, ძაან პოლიტიკური როლი საბოლოო ჯამში ინტეგრაციის საკითხში“. ამრიგად, ბენდუქიძის აზრით, ლაზიკას მშენებლობა ძირითადად დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ იგი უშუალოდ ემიჯნება აფხაზეთის ტერიტორიას. ჩვენ შევქმნით კარს თუ ფანჯარას, რომელშიდაც შემოიხედავენ აფხაზი თანამოქალაქეები და ჩვენს შორის ინტეგრაციაც გარდაუვალი იქნებაო.

ბენდუქიძის ინტერვიუს ამ ნაწილის თანახმად, ათი წლის განმავლობაში ლაზიკის აშენებამდე, ხელი ჩაქნეული გვაქვს აფხაზეთის შემოერთებაზე და იმის ამარა ვრჩებით, რომ ქალაქის მშენებლობის დასრულების შემდეგ ლაზიკა მიმზიდველი იქნება აფხაზებისათვის და მნიშვნელოვანი ინტეგრაციის საკითხებშიცო. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს ბენდუქიძის ინტერვიუს ამ ნაწილში, რომელსაც ძნელია თავი და ბოლო ერთმანეთისგან გაარჩიო. მთავარია, მისცემენ კი აფხაზებს ნებას „შემოიხედონ საქართველოში?“ ასე აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ.

4. ჟურნალისტის ბოლო შეკითხვას – „ვინ იცხოვრებს ლაზიკაში და რა დარგში უნდა იმუშაონ თუნდაც ჩამოსულმა, ვთქვათ, აფხაზეთის მოსახლეობამ ან თვითონ იმ მოსახლეობამ, რომელიც „ლაზიკის“ მკვიდრი იქნება. კახა ბენდუქიძემ, მისი აზრით, „ძაან“ მოხერხებულად აუარა გვერდი: „ამის გრძელვადიანი პროგნოზირება საერთოდ შეუძლებელიაო“. თუკი არ ვიცით ვინ იცხოვრებს და რა დარგები უნდა განვითარდეს ქვეყანაში მშენებარე მეორე დიდ ქალაქში, რომელიც პერსპექტივაში თბილისისხელა უნდა გახდეს, მაშინ ასეთი ქალაქის მშენებლობაც უაზრობაა.

დემოგრაფიული თვალსაზრისით ლაზიკის მშენებლობას მეტად მძიმე შედეგები მოჰყვება. როგორც გადაცემაში აღინიშნა, საბოლოოდ ლაზიკა თბილისისხელა ქალაქი გახდება. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ორ ან თუნდაც სამ ათეულ წელიწადში საქართველოს მხოლოდ ორ ქალაქში – თბილისსა და ლაზიკაში იცხოვრებს თითქმის ორ ნახევარი მილიონი ადამიანი. ბუნებრივია, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ფოთსა და სხვა ქალაქებშიც გაიზრდება მოსახლეობის რაოდენობა. მაგალითად, პრეზიდენტმა მიმდინარე წლის იანვარში ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ბათუმში ორ-სამ წელიწადში იცხოვრებს 300 ათასი კაცი (2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბათუმში 124 ათასი კაცი ცხოვრობდა), ხოლო გასულ წელს ქუთაისში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ამ ქალაქის მოსახლეობა 500 ათასამდე გაიზრდება (ამჟამად ქუთაისში 194 ათასი კაცი ცხოვრობს). ამრიგად, თბილისისა და ლაზიკას გარდა ქვეყნის სხვა ქალაქებში სულ მცირე მილიონამდე კაცმა უნდა იცხოვროს. გამოდის, რომ საქართველოს მხოლოდ ქა-



◉ ახირება

# ლაზიკის



ლაქების მოსახლეობა 3,5 მილონი კაცი იქნება. ახლა ვნახოთ როგორია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზული გაანგარიშება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის გაანგარიშებით 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3,3 მილიონი კაცი იქნება, ე. ი. 2009 წელთან შედარებით ზუსტად მილიონით შემცირდება. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში სომხეთის მოსახლეობა უმნიშვნელოდ შემცირდება – 3,1 მილიონიდან 3,0 მილიონამდე, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 8,8 მილიონიდან 10,6 მილიონამდე გაიზრდება.

არც ქართველი დემოგრაფების პროგნოზული გაანგარიშება იძლევა დამაიმედებელ მონაცემებს. გაანგარიშების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით 2050 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონი კაცი იქნება. ამრიგად, საქართველოს სოფლები მთლიანად რომ დავაცარიელოთ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მოსახლეობისგან, რადგან ჩვენთან მცხოვრებ აზერბაიჯანელ და სომეხ თანამოქალაქეებს ამას ვერ გაუბედავენ, სოფლის მოსახლეობა ქალაქის მოსახლეობას ვერ შეავსებს. გვრჩება ერთადერთი გზა – საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად ასეულ ათასობით უცხოელის შემოყვანა და ქალაქებსა და სოფლებში მათი დასახლება. ეს პროცესი კი უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ვერ ავცდებით ქართული ცხოვრების წესის მთლიანად მოშლას, ქართული ცნობიერების მთლიანად დანგრევას, მთელი ჩვენი მდიდარი ისტორიული წარსულის დავიწყებას და, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის ბალანსის მთლიანად შეცვლას.

პატარა მაგალითი. სამთავრობო ტელევიზიებს, საერთო ტაშ-ფანდურის ფონზე, მაინც გაეპარებათ ხოლმე ჩვენი სულიერი ცხოვრების დაკნინების ამსახველი გადაცემები. „იმედის“ არხზე გადაცემა „ქალურ ლოგიკაში“ ახალგაზრდებს აჩვენეს გალაკტიონ ტაბიძის სურათი. მათ უნდა გამოეცნოთ ვინ იყო სურათზე გამოსახული: გერმანელი ფილოსოფოსი, ქართველი პოეტი თუ რუსი არქიტექტორი. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ახალგაზრდები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სურათზე გამოსახული იყო ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. ახალგაზრდებმა ვერც იმ კითხვას უპასუხეს, თუ როდის დაარსდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: მე-18 საუკუნეში, მე-19 თუ მე-20 საუკუნეში. გოგონებმა, რომელთაგან ერთ-ერთი ეკონომიკური სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი იყო, მიუთითეს, რომ 2 ტონაში 200 კილოგრამია და ა. შ. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს და, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი გულარხეინადაც შეცქერის ასეთ დამღუპველ რეალობას.

ჩვენი მსჯელობა სრული არ იქნება, თუ შემდეგიც არ ითქვა. ისედაც დაბალი შობადობის პირობებში ურბანიზაციის მეტად მაღალი დონის შემთხვევაში კიდევ უფრო შემცირდება შობადობა, გაუარესდება სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები, კერძოდ, გაიზრდება განქორწინების დონე და სხვ. მაგრამ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტსაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. უკანასკნელ წლებში გაიზარდა ქვეყნიდან მოსახლეობის ემიგრაცია. ბოლო სამ წელიწადში (2008-2010 წლებშიძ რუსეთშიც კი თითქმის ორჯერ მეტი ადამიანი წავიდა, ვიდრე 2003-2005 წლებში. სამთავრობო ტელევიზიებიც ვერ უვლიან გვერდს იმ უტყუარ ფაქტს, თუ არალეგალური გზით, უაღრესად სახიფათო პირობებში, ხოლო ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასად, როგორ ტოვებენ მასობრივად სამშობლოს იმედდაკარგული ქართველები შიმშილისგან თავის დასაღწევად. მაგრამ ესეც არ არის მთავარი.

1980-1989 წლებში, ანუ 10 წლის განმავლობაში საქართველოში, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გამოკლებით, 455 ათასი გოგონა დაიბადა, 2000-2009 წლებში, ისევ 10 წელიწადში კი – 236 ათასი გოგონა. 1980-1989 წლებში დაბადებული გოგონები ამჟამად 20-29 წლის ასაკში იმყოფებიან. დაბადებულ ბავშვთა 70 პროცენტს კი ამ ასაკის ქალები აჩენენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ შობადობის, მართალია, დაბალი, მაგრამ რაღაც გარკვეული დონე მაინც შევინარჩუნეთ, ეს 1980-1989 წლებში დაბადებული მრავალრიცხოვანი გოგონების დამსახურებაა. 2020 წლიდან კი დედობის ასაკში შევა 2000-2009 წლებში დაბადებული გოგონების დაახლოებით ნახევარი და შობადობა შემცირდება, განსაკუთრებით ქართველ მოსახლეობაში.

აღნიშნული მოსაზრების ერთიან ასპექტში უნდა განვიხილოთ შემდეგი ფაქტორიც. მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რომელიც წარმოადგენს დაბადების შემთხვევათა და გარდაცვალების შემთხვევათა შორის სხვაობას, ბევრად მეტია აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთში. მაგალითად, 1980-1989 წლეში მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღმოსავლეთ საქართველოში 295 ათას კაცს, ხოლო დასავლეთ საქართველოში 138 ათას კაცს შეადგენდა. ანალოგიური მაჩვენებელი 2000-2009 წლებში შესაბამისად 47 ათას და 7 ათას კაცს უდრიდა.

ამრიგად უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, 2000-2009 წლებში, მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 7 ათას კაცს უდრიდა და ისიც მხოლოდ აჭარის ხარჯზე.

მოვლენის უფრო ნათელსაყოფად ისიც უნდა ითქვას, რომ ლაზიკაში აშენებულ ბინებს უფასოდ არ დაარიგებენ. დასავლეთ საქართველოში მომავალში მოსახლეობის გამუდმებული კლების პირობებში ძნელია ლაზიკაში დასახლების მსურველები მოინახოს. მით უმეტეს ნაკლებ სავარაუდოა აღმოსავლეთ საქართველოში კაცმა თავისი მამა-პაპური საცხოვრებელი მოშალოს და სრულიად უცხო გარემოში, ლაზიკაში, ეკოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებლად უვარგის ან, უკეთეს შემთხვევაში, მეტად სათუო პირობებში, შეისყიდოს ბინა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ საქართველოში ტურიზმის მასობრივად განვითარების შემთხვევაში შრომითი რესურსები უაღრესად არასაკმარისია.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ კახა ბენდუქიძისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ლაზიკა შენდება უცხოელებისთვის და მისი მოსახლეობაც უცხოელები იქნებიან. ის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაცემის დროს ტელევიზიით გამოხვიდე პატარა ბავშვით სვიტრზე „თავისუფალი უნივერსიტეტის“ წარწერით, არაფერს ნიშნავს. არც ის ნიშნავს არაფერს, რომ ახალგაზრდებს დაავალო ბაზარში ვინ სწრაფად შეიძენს პროდუქტებს და ამით შეეცადო მათი უნარის განსაზღვრას. მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ისე მოეწყო, რომ დღეს ასეთი იაფფასიანი რეკლამებით და, როგორც ამბობენ, ბევრი რამის სანაცვლოდ განათლების სამინისტროს დახმარებითაც, ბენდუქიძემ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მიიზიდა თავის დაფუძნებულ უმაღლეს სასწავლებლებში და შექმნა ილუზია თავის უნივერსიტეტზე, როგორც ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელზე.

მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია და ამჯერად არ ღირს მასზე საუბარი. ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ქვეყანა, ვერასოდეს შეძლებს ორ მილიონზე მეტი და კიდევ რამდენიმე შედარებით დიდი ქალაქის ფუნქციონირებას, ის რომ, ათი წლის შემდეგ ლაზიკა გახდება რეგიონის ფინანსური ცენტრი, მეტად სათუოა. უფრო მოსალოდნელია თბილისი გახდეს ქვების გროვა, ან საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში აფრიკიდან და აზიიდან ჩამოსახლდეს სხვა რელიგიური აღმსარებლობის, სხვა კულტურის მატარებელი და სრულიად სხვა ცხოვრების წესის მქონე მოსახლეობა.

დასასრულს, მინდა ვთქვა: ის, რომ რასაც კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ აღვნიშნავ, ზოგჯერ შეიძლება ზედმეტად ემოციურადაც, მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ მან შესანიშნავად იცის, მის მიმართ გამოთქმული საყვედურის საფუძვლიანობა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს ბიზნესის სიყვარული გადასწონის ხოლმე. დედამისი, ცნობილი მეცნიერი, ქალბატონი ჯულიეტა რუხაძე შესანიშნავი ნაშრომებით ამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას, ეთნოლოგიას. და მით უფრო დასანანია, რომ ბატონი კახა სათავისოდ აკვიატებული მოსაზრებებით უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყანას. რა ბედენაა, უამრავი ფული დააგროვო, თუკი ქართველი ქართველად აღარ დარჩება, თუკი დიდი ფულის პატრონმა სხვისი გახარებით გახარება ვერ შეძელი. სწორედ იმის გამო, რომ ბენდუქიძის მსგავსად ჩინოვნიკთა არცთუ ისე მცირე ნაწილი ფიქრობს და მოქმედებს, ჩვენი დამოუკიდებლობა ფარატინა ქაღალდად რჩება. დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ მისცა ქართველ კაცს ის, რასაც იგი იმსახურებს. შინაგანად არ მოხდა პიროვნების გამთლიანება. ამ ოცი წლის განმავლობაში რაც ვიწვალეთ, რაც სისხლი დავღვარეთ, თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა. ყოველი ჭეშმარიტი ქართველი ხედავს, როგორ გვიქრება თვალსა და ხელს შუა სამშობლო. ერთადერთი ვისაც დღეს შეუძლია ჩვენი გადარჩენა, არის ბიძინა ივანიშვილი. დღეს ისე, როგორც არასდროს, წყდება საქართველოს ისტორიული ბედისწერა. არ გვაქვს, სამწუხაროდ, იმის ფუფუნება რამდენიმე პარტიის გარშემო დავქსაქსოთ ჩვენი ძალები, ავყვეთ ისეთ ფსევდოოპოზიციურ პარტიას, როგორიცაა ქრისტიან-დემოკრატები, ავყვეთ ისეთ გაუგებრობას, როგორიცაა ბაჩუკი ქარდავა, ვისმინოთ ისეთი ენა-მანქანის შეგონებები, როგორიცაა შალვა ნათელაშვილი თავის სოსო შატბერაშვილთან, ამ მართლაც საუკუნის სირცხვილთან ერთად.

**ანზორ თოთაძე,**

პროფესორი, დემოგრაფი

◉ სტუდენტური გაზაფხული

## „გაცოცხლებული“ კახეთის სამეფოს ისტორია

ამ დღეებში თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტისა და ტურიზმის აკადემიის სტუდენტებმა ექსკურსია მოაწყვეს თელავის რაიონში. ისინი დილაადრიან გაემართნენ კახეთისკენ. მეტად სასიამოვნო იყო მგზავრობა გომბორის უღელტეხილზე, სადაც სასიამოვნოდ გაშლილიყო გაზაფხულის პირველი მახარობლები: უამრავი ია, ენძელა და ყოჩივარდა.

სულ მალე გამოჩნდა ჩვენი ისტორიის არაერთი ძნელბედობის მოწმე, ამაყად აზიდული შუამთის მონასტრის ძველი და ახალი კომპლექსი. სტუდენტები გულდასმით უსმენდნენ ტურიზმის ცნობილ სპეციალისტს, ამჟამად თბილისის ტურიზმის აკადემიის მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ ნიკო კვარაცხელიას, რომელმაც თითქოს მსმენელთა თვალწინ გააცოცხლა კახეთის სამეფოს ისტორია, მისი არქიტექტურული მემკვიდრეობა. ასევე საინტერესოდ ისაუბრა მან იყალთოს უძველესი აკადემიის შესახებ. სტუდენტებმა შორენა ჯიმშიტაიშვილმა, თათია შინდელიშვილმა, ია სამხარაძემ, მარიამ ესებუამ და თამარ ჩოხელმა ამომწურავი პასუხი მიიღეს თავიანთ კითხვებზე.

ექსკურსანტებს ამინდმაც გაუმართლა და ფრიად კმაყოფილნი დაბრუნდნენ დედაქალაქში.

**ნანა კირკიტაძე,**
**პროფესორი**

◉ ინფორმაცია

## დაიწყო ყველა პირველკლასელის რეგისტრაცია

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2 აპრილიდან 17 აპრილამდე პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იყო შესაძლებელი, სადაც მათი დედმამიშვილები სწავლობდნენ, ან მშობლები მუშაობდნენ. დანარჩენების რეგისტრაცია კი, 17 აპრილიდან – 17 ივნისის ჩათვლით განხორციელდება.

წელს პირველად, რეგისტრაცია მხოლოდ ინტერნეტით არის შესაძლებელი. შვილის დასარეგისტრირებლად მშობელს მხოლოდ პირადი მონაცემის შევსება სჭირდება, რაც რამდენიმე წუთს მოითხოვს.

ბავშვის ონლაინ რეგისტრაციისათვის მშობელი შემდეგ ფორმას ავსებს: ბავშვის სახელი და გვარი, პირადი ნომერი. მშობელი ირჩევს მხოლოდ ერთ სკოლას და როდესაც სისტემა დაუდასტურებს მას რეგისტრაციას, მას ოფიციალურად საბუთების წარდგენა უკვე სკოლაში მოუწევს.

მშობელი რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისთანავე იღებს პასუხს შვილის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. ასევე, მშობელი შეტყობინებას ჩარიცხვის შესახებ, სმს-ის საშუალებითაც მიიღებს.

მშობლებს, რომლებსაც ინტერნეტთან ხელი არ მიუწვდებათ, დასარეგისტრირებლად შეუძლიათ თავიანთი რაიონის რესურსცენტრს მიმართონ. ონლაინ რეგისტრაცია მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდება. კერძო სკოლები პირველკლასელთა მიღებას ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებენ.

რეგისტრაციის პროცესი არის თავისუფალი, ნებისმიერ მშობელს მოსწავლე მისთვის სასურველ სკოლაში შეუძლია დაარეგისტრიროს. ყველა დარეგისტრირებული ბავშვი 15 სექტემბერს პრეზიდენტისაგან საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერს „ბუკს“ მიიღებს. ბავშვის სკოლაში მიყვანა მშობელს შეუძლია 5 წლის ასაკიდან. პროცესი ნებაყოფლობითია და მშობელი თავად აკეთებს არჩევანს.

ინტერპრესი



## რუსული ლაბირინთი

# არავინ იცის, სირიაში ან ირანში განვითარებული მოვლენები საქართველოზე როგორ აისახება

**რუსულ პოლიტიკურ აზროვნებასა და პოლიტიკურ წრეებში „ევრაზიულობის“, როგორც იდეოლოგიის გაჩენის საფუძვლებსა და მიზეზებზე, ევრაზიული კავშირის შექმნის პუტინისეულ გეგმაზე, ასევე იმაზე, სირიასა და ირანში გართულებული პროცესების ფონზე ევრაზიული კავშირის შექმნის რეალიზაციის ფარგლებში რა გეგმები შეიძლება ჰქონდეს კრემლს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს მიმართ, „ინტერპრესნიუსი“ ისტორიის დოქტორს, თსუ-ს პროფესორს გიორგი ჟუჟუნაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გიორგი, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კრემლში დაბრუნების შემდეგ, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირის საფუძველზე ევრაზიული კავშირის შექმნაა. პუტინმა სსრკ-ს დაშლა გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეაფასა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოსკოვის დომინირების ამბიციებს არ მალავს. რა მიზნების რეალიზაცია სურს კრემლს დღეს ევრაზიული კავშირის შექმნით?**

— ნამდვილად საინტერესო თემაა. დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გავყოთ ორ ნაწილად: ისტორიული ფონი და „ევრაზიელობის“, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმოხილვა.

ცნობილი რუსის, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის მ. პოლიევქტოვის (1920-1940 წლები) განმარტებით, ვინც ფლობს კავკასიის მთისწინეთს, იგულისხმება ვოლგასა და დონს შორის ტრამალები, ე.წ. „ყივჩაღთა ველი“, იგი პრეტენზიას აცხადებს მთელი კავკასიის ფლობაზე. მართლაც, რუკაზე დაკვირვებისას ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ ისწრაფის ჩრდილოელი მეზობელი სამხრეთისკენ და რატომაა მისთვის სამხრეთ კავკასიაში დომინირება საკუთარი თავის რეალიზების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. სწორედ აქედან იწყებოდა რუსეთისთვის „აღმოსავლური პოლიტიკის“ წარმოება. ოქროს ურდოს „მემკვიდრე“ რუსეთის პირველი მეფე, ივანე მრისხანე (1530-1884 წლები), ყაზანის სახანოს 1552 წელს დაპყრობისა და ასტრახანის სახანოს 1556 წელს დაპყრობის შემდეგ, იმთავითვე აქტიურად ებმება „აღმოსავლეთში“ პირველობისთვის ბრძოლაში. სწორედ გეოგრაფიულად უპირატესი მდგომარეობის, ასევე ერთმორწმუნეობის გამო უკავშირდებიან ქართველი პოლიტიკოსები ახლად გამეზობლებულ ქვეყანას.

ამ დროიდან მოყოლებული, კავკასიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება: რუსეთის იმპერია „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ (ზოგჯერ პირიქით) ვექტორის ათვისების შემდეგ, „დასავლეთი-აღმოსავლეთის“ ვექტორის აღმოსავლეთით განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა. თუ დავაკვირდებით რუსეთის ისტორიის განვითრების ძირითად ეტაპებს, მოგვიწევს დავეთანხმოთ მ.პოლიევქტოვს, რომ ბალტიის ზღვაზე, ანუ ევროპისაკენ წარმატებები ყოველთვის სამხრეთში, კავკასიის მიმართულებით წარმატებებს უკავშირდება. კავკასიას, კონკრეტულად ამიერკავკასიას და უფრო კონკრეტულად საქართველოს, რუსეთისთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთი სამხრეთისკენ სრულმასშტაბიანი ექსპანსიის განხორციელებას მას შემდეგ იწყებს, რაც დაიკავა ქართლ-კახეთის სამეფო.

ამ აზრის დასტურად მოვიხმობ მიხეილ გორბაჩოვის მრჩევლის, ანატოლი ჩერნიაევის დღიურიდან ჩანაწერს. 1989 წლის 16 აპრილს თბილისში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით იგი წერდა: „საქართველო — ეს იღბალია, უფრო ზუსტად ბედის ნიშანი. თუკი ქრისტიანი და რუსებისთვის საყვარელი ხალხიც გარბის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, ეს რაღაცას ნიშნავს? ეს არ არის ბალტიისპირეთი, სადაც ყველაფერი ნათელია. რაღა დაგვრჩენია, ან ოკუპაცია და შესაბამისად კვლავ „იმპერიის“ აღდგენა, ან ფედერაცია კონფედერაციის პრინციპებზე“.

რაც შეეხება „ევრაზიელობას“, ეს იდეური მიმდინარეობა ყალიბდება მე-20 საუკუნის 20-იან წლებში რუს ემიგრანტთა შორის, როგორც რეაქცია ბოლშევიკურ გადატრიალებაზე. ამ მიმდინარეობის ფესვები უნდა ვეძიოთ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბებულ „ოფიციალურ ხალხურობის თეორიაში“, რამაც შემდგომი განვითარება „მედასავლეთეობასა“ და „სლავოფილთა“ იდეურ ჭიდილში ჰპოვა.

ევრაზიელთა მოსაზრებით, რუსეთი არც ევროპაა და არც აზია. ეს არის განსაკუთრებული ქვეყანა — კონტინენტი, რომელშიც ევროპა ჭარბობს აზიას, თუმცა ევროპული საწყისები ყოველთვის პოზიტიურ როლს არ თამაშობს მის განვითარებაში.

თანამედრო „ევრაზიელობა“ ვითარდება მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან და მოიცავს 5 ძირითად მიმართულებას:



გვიანი, ნეო, მემარცხენე, აკადემიური და მემარჯვენე-კონსერვატორები. რუსი „ევრაზიულობის“ ყველაზე უფრო რეაქციულ მემარჯვენე-კონსერვატორების იდეური ხელმძღვანელი დღეს ალექსანდრე დუგინია.

„ევრაზიელები“ ძირითადად მუშაობენ ანტიმონდიალურ, ანტიატლანტურ, ევრაზიული სისტემის ცალკე არსებობის მოდელებზე. მათი აზრით, რუსეთმა ჩრდილო ევრაზიის სივრცეში ყველა შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოს წონასწორობის გარანტორის ფუნქცია. პარტნიორების შერჩევისას კი უნდა იხელმძღვანელოს არა მარტო კონკრეტული პოლიტიკური ვითარებით, არამედ ისტორიული წარსულის, დღევანდელი და მომავალი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებითაც.

ერთი სიტყვით, „ევრაზიელობას“, როგორც იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, აქვს პრეტენზია იქცეს რუსეთისთვის ახალ იდეოლოგიად. ამ იდეების ნათელი გამოხატულებაა პუტინის მიერ ინიცირებული ახალი ეკონომიკური გაერთიანება.

**— რუსმა პოლიტოლოგმა და პრეზიდენტის საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა ფეოდორ ლუკიანოვმა სტატიაში „იმპერია უკულმა“ ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ევრაზიული კავშირის პარადოქსი იმაშია, რომ მისი მიზანი არა ევრაზია, არამედ უკრაინაა. არა სსრკ-2, არამედ ე.წ. „სლავიანურობაა“, ანუ კრემლის მიზანი ევრაზიულ კავშირში უკრაინის შეყვანაა. სულაც არაა გამორიცხული, რომ მოსკოვს ევრაზიულ კავშირში ჯერ ეკონომიკურად მიმზიდველი უკრაინის შეყვანა სურდეს, ხოლო შემდეგ სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების. კიევი ევრაზიულ კავშირში შესვლაზე ფეხს ითრევს. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა, რომ უკრაინა ევრაზიულ კავშირში აღმოჩნდეს?**

— ჩვენ ერთ-ერთ სტატიაში „უკან — მომავალში“ მივუთითებდით, რომ ევრაზიელობა საინტერესო იდეოლოგიური საფუძველია ახალი გაერთიანებისთვის, სადაც აქცენტები გადატანილია ეკონომიკურ პრობლემებზე. პუტინის განცხადებით, ახალი გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს ნებაყოფლობითი ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, სხვა სახის კავშირები, რომ მთავარია ამ ერთიანობის ნიადაგზე ევრაზია გადაურჩეს მსოფლიო ეკონომიკურ კატაკლიზმებს.

სინამდვილეში კი, ყველასთვის ცხადია, თუ რას გულისხმობს ეს გაერთიანება და რამდენად მომგებიანია იგი ახლანდელი თუ მომავალი წევრებისთვის. რუსეთის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკაში არ აღემატება 3%-ს, შესაბამისად, სკეპტიკოსები ვერაფერს კარგს ვერ წინასწარმეტყველებენ მომავალი გაერთიანების ეკონომიკური მაჩვენებლების თაობაზე. აქედან გამომდინარე, სარგებელი გაერთიანებაში შემავალი წევრებისთვისაც საეჭვოა. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის სახელმწიფოს ექსპანსიურ ბუნებასაც, შესაძლო პერსპექტივები, ნაკლებ სახარბიელოა.

**— სხვა საკითხია, თუ რამდენად რეალიზებადია პუტინის ევრაზიული კავშირის იდეა და აქვს თუ არა დღევანდელ რუსეთს მისი შექმნის ეკონომიკური რესურსი, მაგრამ თუ ევრაზიული კავშირის იდეასთან დაკავშირებით თქვენს მიერ მოხმობილ ისტორიას გავითვალისწინებთ, საქართველოს ევრაზიული კავშირის ნაწილად მოაზრების საფუძველი არ უნდა არსებობდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ევრაზიულ კავშირთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხი სულ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს, კითხვას პირდაპირ დავსვამ — თქვენი აზრით, რატომ არაა საქართველოს ადგილი ევრაზიულ კავშირში?**

— თანამედროვე ეტაპზე ამიერკავკასიის ორი ქვეყანა — საქართველო და აზერბაიჯანი მსოფლიო გეოპოლიტიკური პროექტების აქტიური მონაწილეა. ევრაზიული ეკონომიკური პროექტი მათთვის წამგებიანია იმ თვალსაზრისით, რომ დაკარგავენ მნიშვნელოვან როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ მხარდაჭერას. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყნების მესვეურები თავად განკარგავენ ქვეყნის სიმდიდრეს და რუსეთისადმი ხისტი, მკვეთრი პოლიტიკის გამო, დასავლელი პარტნიორებისგან მნიშვნელოვან დივიდენდებს იღებენ. თუ მსოფლიო პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე რაიმე არ შეიცვალა (1801, 1921 წლები), ცხადია, აზერბაიჯანი და საქართველო სულაც არ აპირებენ ამ პრივილეგიების დათმობას.

რაც შეეხება სომხეთს, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. რუსეთი სომხეთის უსაფრთხოების ძირითადი გარანტორია. რასაკვირველია, სომხეთს ევრაზიულ კავშირში შესვლა უნდა, მაგრამ არ შეუძლია, ძირითადად, რუსეთთან საერთო საზღვრის არქონის გამო.

**— ძნელი სავარაუდოა, როგორ განვითარდება პროცესები სირიაში ან ირანში და ამის ფონზე რა გეგმები შეიძლება ჰქონდეს რუსეთს სამხრეთ კავკასიასთან და კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სირიის საკითხში მოსკოვის პოზიციის სერიოზული ცვლილება დაკავშირებული იყოს სამხრეთ კავკასიაში კრემლის გეგმებთან?**

— დღევანდელი სიტუაცია რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, არახელსაყრელია: სსრკ-ს დაშლის შემდეგ მან ერთი პიროვნება ყველა ბერკეტი დაკარგა და ყველანაირად ცდილობდა სტატუს კვოს შენარჩუნებას. „ევრაზიელთა“ იდეოლოგიის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ თემაზეა აგებული, რომ მინიმალური დანაკარგებით უნდა გაუძლონ კრიზისს, მოიკრიბონ ძალები და გადავიდნენ შეტევაზე.

მართალია, ახალი გაერთიანების ჩამოყალიბების არეალად სახელდება ევრაზიის ჩრდილოეთი ნაწილი, ჩრდილოყინულოვან და წყნარ ოკეანეებს შორის მდებარე ტერიტორიები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას (ვინც იცნობს დუგინის ნაშრომებს, აუცილებლად დამეთანხმება), რომ ვინმემ რუსეთის პოლიტელიტაში უარი თქვა „თბილი ზღვებისკენ“ ლტოლვაზე. ამ გზაზე კი კავკასია ძევს.

რუსეთი აუცილებლად შეეცდება ნებისმიერ საბაბით დანაკარგის კომპენსირებას. თავის დროზე ბალკანეთზე მიმდინარე პროცესებმა „კბილი მოგვჭრა“, კოსოვოს რუსული სცენარი აფხაზეთში გათამაშდა. ახლა კიდევ არავინ იცის სირიაში, ან ირანში განვითარებული მოვლენები ჩვენზე როგორ აისახება. ვიმეორებ, ამ თვალსაზრისით, სამწუხარო გამოცდილება გვაქვს.

**კობა ბენდელიანი**

## დედამიწის ზურგზე



**ბერლუსკონის ორგიებთან დაკავშირებულ საქმეზე დააკავეს საკვანძო მოწმე. გაჩნდა ახალი ცნობები „მონაზონი“ სტრიპტიზიორშების შესახებ**

**რომში დააპატიმრეს ჟურნალისტი ვალტერ ლავიტოლუ. მასზე აქვთ ეჭვი, რომ ის შუამავლობდა ბერლუსკონისა და იმ ხალხს შორის, ვისაც მის ვილაში მიჰყავდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ღამის წვეულებებში მონაწილეობისთვის. ერთ-ერთმა მოწმემ ისაუბრა, რომ ასეთ ღონისძიებებზე გოგონები ცეკვავდნენ სტრიპტიზს ღამის კოსტიუმებში.**

* * *

**ჰილარი კლინტონმა სამიტის დამთავრება ღამის კლუბში აღნიშნა ლუდით და ცეკვებით**



**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლუმბიის კარტახენის ღამის კლუბში მივიდა ნაშუაღამევს და, როდესაც ცოტა დალია, დაიწყო ცეკვა სალსის მგზნებარე რიტმებით. „თითქოს, იგი შესანიშნავად ატარებს დროს“, — აღნიშნავენ კლუბის წევრები. სხვათა შორის, კლინტონი მხიარულობდა სულ რაღაც ნახევარი საათი.**

* * *

**პრესა: ჩინეთმა შეიძლება ჩაითრიოს რუსეთი თავის ტერიტორიულ დავებში მეზობლებთან**




**პეკინსა და მანილას შორის სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში სადავო ტერიტორიების გამო დავასთან დაკავშირებით მომხდარი კონფლიქტიდან ერთი კვირის შემდეგ ამ რაიონში სტარტი აიღო ფილიპინებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სწავლებამ. ჯერ კიდევ მათ დასასრულამდე მახლობლად უნდა დაწყებულიყო რუსეთ-ჩინეთის მანევრები. ამ დროს პეკინიდან გაისმა შეფარული კრიტიკა მოსკოვის მისამართით.**

* * *

**საბერძნეთში კორუფციაში ბრალდებით დააკავეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი**

**ერთ-ერთი ბრალდებაა „უკანონო საფასურებიდან შემოსავლების ჩარიცხვა“, რომლებსაც თითქოს აკის ცოხაძოპულოსი ღებულობდა რუსეთის სარაკეტო კომპლექსებისა და გერმანული წყალქვეშა ნავების მიწოდებისათვის. 71 წლის ცოხაძოპულოსს საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტი 1996-2001 წლებში ეკავა.**



დავფიქრდეთ და ვიმოქმედოთ

*გამომცემლობა „მერიდიანმა“* ***ახლახან გამოსცა იოსებ და ნათია არჩვაძეების სამეცნიერო ნაშრომი „მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები“.*** *(რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მირიან ტუხაშვილი). „წიგნი, როგორიც მისი სათაურიდანაც ჩანს, ეძღვნება თანამედროვე საქართველოს და მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორებიცაა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, საშუალო ასაკის მატება, მოხუც მოსახლეობასთან მიმართებაში ბავშვებისა და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის თანაფარდობის შემცირება და, აქედან გამომდინარე, ხანდაზმული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა. ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე განხილულია მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესის გავლენა ცალკეული ქვეყნების, უწინარესად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ავტორები კრიტიკულად განიხილავენ ასაკოვანი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დაზღვევის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის — პენსიების ფორმირების მსოფლიოში მოქმედ სისტემებს და ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ პრობლემებს.*

*ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საქართველოში თანამედროვე საპენსიო უზრუნველყოფის მდგომარეობის ანალიზს და აყალიბებენ კონკრეტულ წინადადებებს არსებული მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესებისა და საპენსიო სისტემის ახალ პრინციპებზე გადაყვანის თაობაზე.*

*აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი უდავოდ დააინტერესებს დემოგრაფებს, ეკონომისტებს, სოციოლოგებს, დემოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებულ პირებს. სასარგებლო იქნება ის აგრეთვე ხანდაზმული ადამიანების საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელებით დაკავებული სახელმწიფო მოხელეებისა და პოლიტიკოსებისთვის.*

*გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს აღნიშნული ნაშრომიდან.*

# რეფორმა, რომელიც სასწრაფოდ უნდა დაიწყოს

## წიგნი მოსახლეობის დაბერებასა და საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემებზე

საქართველოს მოსახლეობა ამჟამად *დემოგრაფიული სიბერის* მდგომარეობაშია. **მეოცე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო 59 წელს გადაცილებულთა რაოდენობა — 7-ჯერ.** 1897 წელთან შედარებით მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა თითქმის 17 წლით — 1897 წლის 20.0 წლიდან 2010 წლის 37.6 წლამდე. **1990-იანი წლებიდან საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი სამ წელიწადში თითო წლით მატულობს.** 2002 წლის აღწერით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოსახლეობის მესამედზე მეტი 60 წელს იყო გადაცილებული, ხოლო ბავშვების წილად მოდიოდა საერთო რაოდენობის მხოლოდ 16.4 პროცენტი (საქართველოში საშუალოდ — 21.0%). რაჭის მოსახლეობა 1939 წლის 67 ათასიდან 2011 წლისთვის შემცირდა 22.7 ათასამდე, ანუ თითქმის 3-ჯერ. **ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 40 წელს გადაცილებულთა წილი 2010 წლის მდგომარეობით უკვე 55.5 პროცენტია, მაშინ როდესაც 2002 წელს მხოლოდ 44 პროცენტი იყო.** საქართველოში დღეს 60 წელს გადაბიჯებული 831.000 ადამიანი ცხოვრობს, მათგან 450.000 70 წელზე მეტი ხნისაა, ანუ **საქართველოს ყოველი მეექვსე მოქალაქე ხანდაზმულია.** 2011 წელს საქართველოში 60 წელზე უხნესი მოსახლეობა 18.6%-ს შეადგენდა, მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობა — 16.5%-ს. ამავე დროს, 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში მარტო ბოლო 10 წელიწადში (2001-2011 წლებში) 10.1%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც დანარჩენი მოსახლეობა — მხოლოდ 0.3%-ით (მთელი მოსახლეობა — 1.5%-ით). იმავე პერიოდში თითქმის 1/5-ით (17.8%-ით) შემცირდა 15 წლამდე ბავშვების რაოდენობა. **საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაბერებულია, მოსახლეობის საშუალო ასაკი საქართველოში აღემატება სომხეთისას 5 და აზერბაიჯანისას - 8 წლით, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით სამჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით — 1.8-ჯერ ნაკლები ბავშვი ცხოვრობს.**

გაეროს ექსპერტთა პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება. — **2050 წლისთვის 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში, საუკუნის დასაწყისთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზრდება** და 35.8 პროცენტს მიაღწევს....

***მოსახლეობის დაბერება* სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე (ეკონომიკური ზრდა, დაგროვება, ინვესტიციები, მოხმარება, დასაქმება, საპენსიო უზრუნველყოფა, საგადასახადო პოლიტიკა, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემა და ა.შ.). ამ კუთხით საპენსიო სისტემა მოხუცი, ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური დაზღვევისა და კეთილდღეობის ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი პირობაა.**



მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, პენსიონერთა რაოდენობა იზრდება, ხოლო იმათი რაოდენობა, ვინც მათ საპენსიო თანხებით უზრუნველყოფენ, მცირდება.

დემოგრაფიული დაბერების პროცესს კარგად ახასიათებს *პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი*, ანუ 15-64 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რიცხოვნობასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **საპენსიო ასაკის ყოველ პირზე რა რაოდენობის შრომისუნარიანი ასაკის პირი მოდის.** საპენსიო სისტემის განაწილებითი სქემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თანაფარდობის გაუმჯობესება პენსიონერებსა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტთა გათვლებით, **დღეს მსოფლიოში ერთ პენსიონერზე მოდის 10 შრომისუნარიანი ადამიანი, 2050 წლისათვის კი ერთ პენსიონერზე მხოლოდ 4 შრომისუნარიანი ადამიანი მოვა.**

ანალოგიური ტენდენციებია საქართველოშიც. — თუ 1897 წელს ყოველ 100 ხანდაზმულ ადამიანზე (64 წელზე უხნესი მოსახლეობა) საქართველოში მოდიოდა 1586 შრომისუნარიანი ადამიანი (15-64-წლიანები), 2011 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 502 ადამიანამდე. იგივე ინდიკატორი, გაანგარიშებული 15-59-წლიანების 60 წელზე უხნეს მოსახლეობასთან თანაფარდობით, იმავე პერიოდში შემცირდა 1217-დან 346-მდე.

*პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტის* შემცირებას უდიდესი გავლენა აქვს სოციალური უზრუნველყოფის, კერძოდ, საპენსიო სისტემისთვის, რომელსაც პენსიები გაიცემა დასაქმებულთა დაბეგვრიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლებიდან. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ *პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი* სისტემატურად კლებულობს, სიცოცხლის საშუალო ასაკი კი მატულობს, პენსიის თანაფარდობა საშუალო ხელფასთან მაღალია და მოითხოვს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სულ უფრო მზარდ ნაწილს. ამის გამო საპენსიო სისტემა, რომელიც მხოლოდ *გადანაწილებით პრინციპებს* ეფუძნება, ვერ იქნება ეფექტური.

**მოსახლეობის დაბერების გამო ოცდამეერთე საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საპენსიო ასაკი, ფაქტობრივად, დაუბრუნდება მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებულ დონეს და შემდგომში, 2060 წლისთვის, საპროგნოზო მონაცემებით, მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას.**

საქართველოში მოქმედი საპენსიო უზრუნველყოფა ვერ აკმაყოფილებს საპენსიო სისტემის ორ ძირითად პირობას (**1. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფა; 2. სამართლიანობა**). — იგი მინიმალურ დონეზეც ვერ უზრუნველყოფს პენსიონერთა მატერიალურ მდგომარეობას, რადგანაც პენსიის ზომა ოფიციალურად დეკლარირებულ საარსებო მინიმუმს მხოლოდ 2/3-ით ფარავს, ხოლო თავად თანხის გაცემა, ფაქტობრივად, კავშირში არაა შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობასა და საპენსიო ფონდში შენატანებთან — აღნიშნულის გამო *არსებული საპენსიო სისტემა არა მარტო უსუსური და არაეფექტურია, არამედ გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც.*

**საქართველოს მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თასმა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს.**

**საქართველოში საშუალო პენსია დაახლოებით 60 დოლარია, სომხეთში — 73, აზერბაიჯანში —126, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — 311 დოლარი. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო — 14.7%, სომხეთი — 25.5%, აზერბაიჯანი — 31.3%, რუსეთის ფედერაცია — 35.8%.**

**საშუალო პენსიის თანაფარდობით ოფიციალური საარსებო მინიმუმთან საქართველო ასევე საგრძნობლად ჩამორჩება სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებლებს. — სომხეთში საშუალო პენსიის დონე საარსებო მინიმუმის 85 პროცენტია, აზერბაიჯანში — 105 პროცენტი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — 160 პროცენტი.**

ვფიქრობთ, არ უნდა გამოირიცხოს რა პერსპექტივაში საპენსიო ასაკის შემდგომი ზრდის ალბათობა, **მაინც ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს საპენსიო უზრუნველყოფაში სოლიდარობის პრინციპთან ერთად დაგროვებითი პრინციპზე აგებული საპენსიო სისტემის დანერგვა.** ახალი კომბინირებული საპენსიო სისტემა უნდა იყოს თავისებური ჰიბრიდული ვარიანტი სახელმწიფო სოციალური და საპენსიო სოციალური დაზღვევის სისტემებისა. ჩვენი აზრით, სოციალურად სამართლიანი იქნებოდა **ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის მინიმალური პენსიის განსაზღვრა საარსებო მინიმუმის 70 პროცენტის დონეზე, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ნამსახურების ყოველ წელზე სარსებო მინიმუმის გარკვეული პროცენტით (აქ შეიძლებოდა პროგრესული შკალის შემოღება, ვთქვათ, 10 წლამდე სტაჟის მქონეთათვის — 0.5% ყოველ ნამსახურებ წელზე, 10-25-წლიანი სტაჟის მქონეთათვის, შესაბამისად, 1%, 25-30-წლიანი სტაჟის მქონეთათვის — 2.0%, ხოლო 30-ს გადაცილებულ ყოველ დამატებით წელზე — 3.0 პროცენტი და ა.შ.).**

ამისთვის საჭიროა ხელისუფლების ნება, სერიოზული განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში და სოციალური გადასახადის „რეაბილიტაცია“-აღდგენა. **სოციალური ანარიცხების აკუმულირება მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში (სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდში), ხოლო დაგროვებითი ნაწილისა, თვითონ მუშაკების გადაწყვეტილებით - სახელმწიფო ან არასახელმწიფო საპენსიო ფონდში.** ამის გარდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახლანდელი საშემოსავლო გადასახადი გაიყოს ორ ნაწილად — დაწესდეს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი (10, 20 და 30%-იანი ბიჯებით, შესაბამისად, ხელფასებზე, რომლებიც შეადგენენ საარსებო მინიმუმის 10-მაგ, 10-30-მაგ და 30-ჯერ და მეტმაგ შემოსავალს საარსებო მინიმუმთან მიმართებით) და *სოციალური გადასახადი* გასაცემი ხელფასების 15%-ის დონეზე, რომელსაც გადაიხდიდნენ მეწარმეები. აუცილებლობის შემთხვევაში (რეფორმის პირველ, საწყის ეტაპზე) შეიძლებოდა საპენსიო დანიშნულებით ბიუჯეტის შემოსავლის სხვა წყაროების გამოყენებაც შესაბამისი დეფიციტის შესავსებად. არ უნდა გამოირიცხოს აგრეთვე გარკვეული კატეგორიის საპენსიო ასაკის მუშაკთათვის პენსიასთან ერთად რეგრესიული შკალით დამატებითი შრომითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

აღნიშნული მიდგომა ეყრდნობა მოწინავე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას, რომელთა უმრავლესობა იყენებს საპენსიო სისტემების რეფორმის კომბინირებულ მეთოდებს. **დაგროვებითი საპენსიო სქემის შემთხვევაში პიროვნება თავისი შრომითი აქტიურობის პერიოდში აკეთებს დანაზოგებს, რომელიც მასვე მოხმარდება საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ.** გადანაწილებითი სქემისაგან განსხვავებით, რაც თაობათაშორის სოლიდარობას ეფუძნება, დაგროვებითი საპენსიო სისტემა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გულისხმობს საკუთარი ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად. პენსიების სოლიდარული და დაგროვილი ფონდების თანაარსებობით შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, არ გავართულოთ თაობათა შორის ურთიერთობა და, მეორე მხრივ, ყველაზე დაუცველ ფენებს, მოხუცებს და მომავალ ასაკით პენსიონერებს შევუქმნათ ნორმალური ცხოვრების პირობები.

**საპენსიო სისტემის რეფორმის დადებით შედეგებს ქვეყანა და საზოგადოება ერთბაშად ვერ შეიგრძნობს. მისი პოზიტიური ეფექტი თვალსაჩინო გახდება მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საპენსიო რეფორმა დაიწყოს მაქსიმალურად სწრაფად.**

**ფაქტია, რომ ამ ტრანსფორმაციის შედეგად ვერ ავიცილებთ პენსიონერთა ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებას. თუმცა ეს საშუალებას მისცემს ადამიანებს, უფრო ოპტიმისტურად შეხედონ საკუთარ მომავალს და საკუთარი მომავალი კეთილდღეობის უზრუნველყოფა ძირითადად საკუთარ მიმდინარე ქმედებასა და მოტივაციას დაუკავშირონ.**

◎ წინ, საქართველო!

# ცირეკიძეს – ოქრო, თურმანიძეს – ბრინჯაო



**ანტალიაში დამთავრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 34 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, მათ შორის ოთხი — საქართველოდან. განსაკუთრებით 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა რაულ ცირეკიძემ იყოჩაღა. ქართველმა სპორტსმენმა აიტაცა 165 კილო, აკრა 200 კგ და ორჭიდში 365 კილოგრამით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მან ატაცსა და აკვრაში ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ამავე წონაში 359-359 კილოგრამით მეორე-მესამე ადგილები თურქმა ფატიხ ბაიდარმა და რუმინელმა გაბრიელ სინკრაიანმა გაინაწილეს.**

საქართველოს ნაკრებიდან (მწვრთნელები — ავთანდილ გახოკიძე და ალეკო ნოზაძე) მსგავსი წარმატების მიღწევა შეძლო მძიმე წონაში ირაკლი თურმანიძეს (აჭარა). მით უმეტეს, რომ მან საჩემპიონო განაცხადი ატაცშივე გააკეთა — 195-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მეორე ოქროს მედალიც დაისაკუთრა. პირველი მოძრაობის შემდეგ თურმანიძე ჩრდილოელ მეზობელს — რუსლან ალბეგოვს მთელი ოთხი კილოთი უსწრებდა, მაგრამ რუსეთელმა ძალოსანმა ჩვენებურს აკვრაში აჯობა — 238 კილო დაძლია, ორჭიდის ჯამში 429 კილოგრამი მოაგროვა და ჩემპიონობაც გაინაღდა. თურმანიძეს პირველი ცდა გაუცდა, ასპარეზობა კი 228 კილოთი დაამთავრა, რამაც ორჭიდში 423 კილო და დიდი ბრინჯაოს მედალი მოუტანა. ვერცხლი გერმანელ მათიას შტაინერს ერგო — ორჭიდში მან 424 კილოგრამი მოაგროვა.

105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ალუდა მანაგაძემ 376 კილოგრამით (170-206) მე-8 ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსეთელი დავით ბეჟანიანი (405-185-220) ავიდა.

ანტალიაში ქართველმა ძალოსნებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამგვარი ნადავლით, ისინი რუსებს (6, 3, 4), აზერბაიჯანელებმა (5, 0, 1), თურქებს (3, 3, 2), მოლდოველებს (2, 4, 4) ჩამორჩნენ და მეხუთე ადგილზე გავიდნენ.

**გივი გაგუა**

◎ ძიუდო

# მეორედ – კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



**ახალგაზრდა ძიუდოისტი ნიკოლოზ შერაზადიშვილი (81 კგ) ესპანეთში ცხოვრობს, მაგრამ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით გამოდის.** სამი კვირის წინათ მან მადრიდში ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიო თასზე პირველი ადგილი დაიკავა, გასულ უქმეებზე კი პორტუგალიურ კოიმბრაში იასპარეზა მსგავს ტურნირზე. ჩვენებურმა ზედიზედ სამ პორტუგალიელს აჯობა — ფრანსისკო მენდესს (იპონით), პედრო რებელს (ორი ვაზარით) და თომას ფერნანდესს (იპონით), ფინალში კი ესპანელი ალექსის როსა მოია დაამარცხა ვაზარით და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ჭადრაკი

# ხოტენაშვილი წინ მიიწევს




**ქართველმა დიდოსტატმა ბელა ხოტენაშვილმა ამას წინათ თურქეთში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა — მეცხრე ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო.** ხოტენაშვილი ამჟამად ჩინეთში იმყოფება და იქაურ წრიულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. მოასპარეზეთაგან მხოლოდ ორია უცხოელი — ბელა და უკრაინის ნაკრების წევრი მარია მუზიჩუკი. დანარჩენი რვა დიდოსტატი ჩინელია. მათგან ოთხმა შარშან თურქეთში ჰოუ იფანთან ერთად გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ასეთ ტიტულოვან მოჭადრაკეებთან პაექრობაში ხოტენაშვილმა ექვსი შესაძლებლიდან 4,5 ქულას მოუყარა თავი და მასპინძელ ჟაო სიუსთან ერთად მეწინავეობს. მომდევნო ადგილებზე არიან: ცზიუ ვენძიუნი — 4, დინ ისინი — 3,5, თან ჟონი, ჟან სიაოვენი — 3-3, მარია მუზიჩუკი, ჰუან ქიანი — 2,5-2,5, შენ იანი — 1,5, გუ სიაობინი — 0,5 ქულა.

**ლაშა დიდია**

◎ 64 უჯრა

# II. კუ

**ხასიათდება, როგორც ერთხაზოვანი, მოუქნელი და „დალტონიზმით“ დაავადებული ფიგურა, რამეთუ მას სხვა ფერის უჯრაზე გადაადგილება არ შეუძლია.**

„სამხედრო წოდებით“ იგი საკმაოდ ჩამორჩება ეტლს და მითუმეტეს ლაზიერს. ეს „ნაკლი“ ანიჭებს მას გარკვეულ უპირატესობას, რადგან სამსხვერპლოზე მისი გაწირვა უფრო უმტკივნეულოა.

კუს ხანჯლისებური და მოულოდნელი დარტყმები იმდენად ეფექტურია, რომ ეს თვით ლაზიერსაც კი შეშურდებოდა.

გთავაზობთ ფრანგი საჭადრაკო კომპოზიტორის, საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონის ანდრე შერონის (1895-1980) ამოცანას.

1936



1. მf5 (მუქარით ეh1+) – ე:h8.
2. მg7! (ცუგცვანგი) – ე:g7
3. ე:g7X

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

◎ ინტერნეტიდან

## ყინული ლღვება




**კვირას გამართულ ინგლისის თასის ნახევარფინალურ მატჩში „ჩელსიმ“ 5:1 გაანადგურა „ტოტენჰემი“, თუმცა ლონდონურ დერბის საეტაპო მნიშვნელობა არა ამ შედეგმა, არამედ ერთ-ერთმა ეპიზოდმა შეიძლება მიანიჭოს.**

საუბარია „არისტოკრატთა“ ესპანელი ნახევარმცველის ხუან მატას მიერ „მამლების“ კარში გატანილ მეორე გოლზე, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც კი გასულა, რადგან ბურთს არ გადაუკვეთავს კარის ხაზი და ისე ჩათვალა მსაჯმა ატკინსონმა.

სწორედ ამის შემდეგ აგორდა მორიგი სკანდალი, რომელსაც ლოგიკური გადაწყვეტილება, ალბათ, 2 ივლისს მოჰყვება, როცა ფიფა, ბოლოსდაბოლოს, უარს ეტყვის ფეხბურთის სამშობლოს ქვეშევრდომთა კონსერვატიზმს და სადავო სიტუაციებში ვიდეოგამეორებების გამოყენებას დანერგავს.

როგორც „ევროსპორტი“ აზუსტებს, ამჟამად განიხილება ორი ვარიანტი: სისტემა, რომელსაც კრიკეტსა და გოლფში იყენებენ, აგრეთვე მიკროჩიპებით „შეიარაღებული“ ბურთები.

## მესამე მსხვერპლი



**კორეელი ნახევარმცველი ლი გიუნ ხვანი 2009-2011 წლებში „ტეჩჟონისა“ და „სუვონის“ ღირსებას იცავდა, ხოლო შარშან ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს.**

და აი, სამწუხარო ინფორმაცია — 24 წლის სპორტსმენი ქალაქ ინჩხონში საკუთარი სახლის სახურავიდან გადმოხტა და თავი მოიკლა — იგი საავადმყოფოსკენ მიჰყავდათ, როცა გზაში დაიღუპა.

იგი აღნიშნული სკანდალის მესამე მსხვერპლია, ერთ-ერთი მესამელიგელი ფეხბურთელისა და მწვრთნელის შემდეგ.

## უკვე ინგრევა

**„მუნდიალ-2010“-ისთვის დიდი ზარ-ზეიმით გახსნილმა კეიპტაუნის სტადიონმა, ეტყობა, დროის გამოცდას ვერ გაუძლო და ნელ-ნელა იზზარება.**

**როგორც გაირკვა, გერმანელთა მიერ დაპროექტებულ სარბიელს სახურავის არასათანადო გამაგრებამ უმუხთლა. შესაბამისი გამოკვლევები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საპარლამენტო დედაქალაქის მერიას მილიონი რანდი (140 ათასი დოლარი) დაუჯდა, თვით მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი ობიექტის მშენებლობამ კი 600 მილიონი დოლარი მოითხოვა.**

დავძენთ, რომ ეს ნაგებობა მეგაპოლისის მოსახლეობას თავის ტკივილად ჯერ კიდევ საძირკვლის გაჭრამდე ექცა, რადგან საამისოდ ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი გოლფის მოედნის ლიკვიდაცია გახდა საჭირო, საქალაქო ბიუჯეტს კი მის შესანახად ყოველწლიურად 44,6 მილიონი რანდის გამეტება უწევს.



სხვათა შორის, ატლანტის ოკეანის სანაპიროს ის მონაკვეთი, სადაც კეიპტაუნის სტადიონია გადაჭიმული, გრიგალისებური ქარის აღმოსავლური ქარის ქროლვით გამოირჩევა.

## იყიდეთ... მკერდი!



**გამოჩენილ ამერიკელ მსახიობსა და ფოტომოდელს, ველოსიპედისტთა პოპულარული გუნდის მფლობელს პამელა ანდერსონს, ეტყობა, ფული შემოაკლდა და გადაწყვიტა ჯიბე თავისი მთავარი ღირსების — მკერდის საშუალებით გაისქელოს.**

საამისოდ სექსბომბა, საკუთარი პლასტიკური ქირურგის რჩევით, სილიკონის იმპლანტანტებს შეელევა და „კოკრებს“ აუქციონზე გაიტანს.

ჩვენი კარაგადინი

## უმუხრუჭონი სულ უფრო მეტია?

**უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იმ ბავშვების რაოდენობა, ვისაც დაუსვეს დიაგნოზი „ყურადღებისა და ჰიპერაქტიურობის დეფიციტის სინდრომი", ამერიკის შეერთებულ შტატებში 66 პროცენტით გაიზარდა. თუ 2000 წელს შეერთებულ შტატებში ბავშვებსა და მოზარდებში დიაგნოსტირებული იყო ამ დაავადების 6200000 შემთხვევა, 2010 წლისთვის ეს ციფრი 10400000-მდე ავარდა.**

ყურადღებისა და ჰიპერაქტიურობის დეფიციტის სინდრომი – ყურადღების მოკრების უუნარობა, ემოციების მოთოკვის ჩვეულების უქონლობა, ჰიპერაქტიური ქცევა – ამჟამად უვლინდება ამერიკელ ბავშვთა დაახლოებით 10 პროცენტს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ადრე მედიკოსებმა ამ სინდრომის შესახებ უბრალოდ არაფერი იცოდნენ. ახლა კი მშობლებს, თუ ბავშვს აღენიშნება რაიმე პრობლემა ფსიქიკასთან დაკავშირებით, იგი მიჰყავთ არა მხოლოდ პედიატრთან მიღებაზე, არამედ ბავშვთა ფსიქიატრთანაც.

## „ლუდის ღიპი" არ არის დაკავშირებული ლუდთან

**წელის მოცულობა იზრდება მაგარი ალკოჰოლური სასმელებისგან, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები ჰიოტებორგიდან.**

მათ ანალიზი გაუკეთეს ამ თემაზე წინა გამოკვლევის შედეგებს, რომელიც 1994-დან 1999 წლამდე მოეწყო 37-დან 62 წლის ასაკამდე 1135 ქალისა და მამაკაცის მონაწილეობით, და აღმოაჩინეს, რომ არ არის პირდაპირი კავშირი ლუდის მოხმარებასა და წელის



მოცულობას შორის, როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. სამაგიეროდ დაადგინეს, კავშირი წელის მოცულობას, ზედმეტ წონასა და მაგარი სპირტიანი სასმელების მიღებასა და აგრეთვე უხვ კვებას შორის, რაც ჩვეულებრივად თან ახლავს ასეთი სასმელების მიღებას. თავის როლს ასრულებს „მსმელთა" ცხოვრების წესიც. სპირტიან სასმელებს ყველაზე ხშირად ღებულობენ ისინი, ვისაც აწუხებს ძლიერი სტრესი. ისინი უფრო ხშირად არასწორად იკვებებიან.

## კიბოს დიაგნოსტიკა ფრჩხილების მიხედვით

**ფილტვების კიბოს განვითარების რისკი შეიძლება ფრჩხილების ანალიზის მიხედვით შევაფასოთ, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, იტყობინება ბი-ბი-სი.**



კიბოს ამ ფორმის შემთხვევების უდიდესი უმრავლესობა ვითარდება ნიკოტინის ქრონიკული ზემოქმედების გამო. თამბაქოს კვამლის ორგანიზმზე ზემოქმედების ინდიკატორი აღმოჩნდა ფეხის დიდი თითის ფრჩხილები. მათ აქვთ უნარი დააგროვონ ნიკოტინი, მათი ზრდის სიჩქარე კი სულ რამდენიმე მილიმეტრია თვეში. ამიტომ ფრჩხილის პატარა მონაჭერიც კი შეიცავს ინფორმაციას ნიკოტინის ოდენობის შესახებ, რომელიც შთანთქმული იქნა დროის მნიშვნელოვან შუალედში.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მათ, ვისაც ფრჩხილებში აქვთ ნიკოტინის ყველაზე მეტი კონცენტრაციის უნარი, სამჯერ უფრო მეტად ემუქრებათ ფილტვების კიბო. თანაც ასეთი დამოკიდებულება აღენიშნებათ როგორც აქტიურ ისე პასიურ მწეველებს.

## ჭეშმარიტი ქალბატონების ასაკი

**სამიდან ერთი ბავშვი, ვინც წელს დაიბადა დიდ ბრიტანეთში, იცოცხლებს 100 წლამდე! ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამმართველომ.**

თანაც მათგან, ვინც 2012 წელს დაიბადა, 100 წლამდე იცოცხლებს გოგონათა 40 პროცენტი და ბიჭების 30 პროცენტზე ოდნავ ნაკლები.

ელოდებიან, რომ 95 ათასზე მეტილ ინგლისელი, ვისაც წელს 65 წელი შეუსრულდა, თავის 100 წელს აღნიშნავს 2045 წელს – ქალების 14 და კაცების 10 პროცენტი.

**და კიდევ:** თუ 1961 წელს ინგლისში იყო სულ 600 ასი წლის ქალი, 2010 წელს მათი რიცხვი თითქმის 13000-მდე გაიზარდა!

## საკვები ტვინისთვის

**ხმელთაშუა ზღვის დიეტა, რომელიც მოიცავს ისეთ პროდუქტებს, როგორებიცაა მთლიანი მარცვლეული, ახალი ხილი და ბოსტნეული, თევზი, ზეითუნის ზეთი, სასარგებლოა ტვინისთვის, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები მაიამის უნივერსიტეტიდან.**



ადრე ხმელთაშუა ზღვის დიეტის უპირატესობას გულის დაავადებათა, კიბოს და დიაბეტის განვითარების რისკის შემცირებას უკავშირებდნენ. დღეს მიღებულია იმის დადასტურებანი, რომ ეს დიეტა ამცირებს თავის ტვინის სისხლძარღვთა დაზიანების ალბათობას.

თანაც ასეთ დიეტას მამაკაცებისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ქალებისთვის.

ამ ცნობას კომენტარს უკეთებს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის ცენტრის ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნატალია პონომარიოვა:

– გამოკვლევები, რომლებიც გვიჩვენებენ კავშირს ხანდაზმულ ადამიანებში სისხლძარღვების მდგომარეობასა და მათ ინტელექტს შორის, ბევრი ჩატარებულა. ბევრი გამოკვლევა ასევე ადასტურებს ხმელთაშუა ზღვის დიეტის კეთილნაყოფიერ გავლენას. დიეტის მიმდევრებს უქვეითდებათ ჰიპერტონული დაავადებების რისკი, უწესრიგდებათ ქოლესტერინის, გლუკოზის დონე, უუმჯობესდებათ მეხსიერება და ყურადღება. და ეს გასაგებია, ვინაიდან დიეტა ითვალისწინებს ცხოველური წარმოშობის ცხიმების შეზღუდვას და მათ შეცვლას ნაკლები ცხიმოვანი მჟავებით, რომლებსაც შეიცავენ თევზები და ზეითუნის ზეთი. ეს კარგ გავლენას ახდენს ცხიმის ცვლაზე. ასეთ დიეტაში უხვადაა ბოსტნეული და ხილი, რომლებიც შეიცავენ ანტიოქსიდანტებსა და ვიტამინებს, და ცოტას – ადვილად ასათვისებელ ნახშირწყლებს – ტკბილეულს, ნამცხვრებს და ეს აწესრიგებს გლუკოზის დონეს სისხლში, ამცირებს დიაბეტის განვითარების შესაძლებლობას. ასეთი დიეტა განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანებისთვის, ვისაც გაზრდილი აქვს ალცჰეიმერის დაავადების გენეტიკური რისკი.

## ათასობით პარიკი საჩუქრად

**27 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება თმების დონორის პირველი ეროვნული დღე. მსურველებს შეუძლიათ გაიღონ თმები პარიკების მოსამზადებლად, რომლებსაც ამერიკის ონკოლოგიური საზოგადოება გაუგზავნის კიბოთი დაავადებულ ქალებს. 2006 წლიდან „თმების" შეწირულობის წყალობით საზოგადოებამ უკვე დაამზადა 18000 პარიკი.**



ამერიკის ყველა სილამაზის სალონში ამ დღეს თავიანთი თმების საქველმოქმედოდ გაცემის მსურველებს გაკრეჭენ უფასოდ ან ფასდაკლებით. ზოგიერთი სალონი აქციის მხარდასაჭერად მიიწვევს ვარსკვლავურ სტილისტებს.

ЗДОРОВЬЕ

ჩვენი გამოკითხვა

**თუ ყიდულობთ პროდუქტებს კონსერვანტებითა და საგემოვნო დანამატებით?**

**46 პროცენტი – ახლა ყველა პროდუქტში არის კონსერვანტები და დანამატები**

**38 პროცენტი – არა, ვცდილობ ვიყიდო ნატურალური**

**8 პროცენტი – დიახ, ვყიდულობ. რახან ისინი დაშვებულია გასაყიდად, მაშასადამე, მავნე არ არის.**

**8 პროცენტი – არასოდეს მიფიქრია ამაზე.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 984 კაცმა მიიღო.**

განცხადება

# №17 ციხის დირექტორი ლაშა ბრეგვაძე პატიმრებზე „ვარჯიშობს" სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი...

**მედიაკავშირ „ობიექტივის" და წინააღმდეგობის მოძრაობის ადვოკატთა ჯგუფმა იმდენად „შეაწუხა" სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია და მაღალჩინოსნობა, რომ ისინი ცდილობენ, პრობლემები შეუქმნან ადვოკატთა ჯგუფს, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან პატიმრებს.**

სასჯელაღსრულების №17 დაწესებულების დირექტორი ლაშა ბრეგვაძე ცუდი რეპუტაციით სარგებლობს: პატიმრებს შიშის ზარს სცემს, გამოირჩევა პატიმრების ცემით, ღირსების შემლახველი ფაქტებით, არაადამიანური მოპყრობით. პატიმართა საჩივრების საფუძველზე „ობიექტივის" და წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა ადვოკატმა ჯუმბერ მილორავამ „დააჯამა" პატიმრების საჩივარი და პროკურატურას მიმართა. რაღა თქმა უნდა, პროკურატურა ჩვეულებისამებრ ასეთი სახის დოკუმენტებზე არ რეაგირებს.

სწორედ ასეთი „ზურგის" იმედად №17 დაწესებულების დირექტორი ლაშა ბრეგვაძე არღვევს კანონს და ადვოკატ ჯუმბერ მილორავას ციხეში შეშვებაზე უარს აცხადებს. „ობიექტივის" ორთვიანი საეთერო თუ საჯარო სასაჩივრო ბრძოლების შედეგად „ობიექტივმა" გაიმარჯვა და ჯუმბერ მილორავამ ისევ შეაღწია №17 დაწესებულებაში და განაგრძო პატიმართა მომსახურება. მაგრამ როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს და ლაშა ბრეგვაძე მზაკვრული ჩანაფიქის განხორციელებას შეუდგა. კერძოდ ციხის დირექტორმა ამავე ციხეში მსხდომ პატიმრებს – 1962 წელს დაბადებულ ვალერიან ფუტკარაძეს და 1958 წელს დაბადებულ იაგო ცაგურიშვილს, რომლებსაც მილორავა ემსახურებოდა, ალბათ ძალდატანებით დააწერინა საჩივარი და მედიაკავშირ „ობიექტივსა" და წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობის სახელზე გაგზავნა იმ იმედით, რომ მილორავას სამსახურიდან დაითხოვდნენ. წერილებში პატიმრები ი. ცაგურიშვილი და ვ. ფუტკარაძე ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე ამახვილებენ ყურადღებას და მას მატყუარას უწოდებენ. თუმცა პატიმარ ფუტკარაძეს ალბათ დაავიწყდა ან გამორჩა ის ფაქტი, რომ №17 დაწესებულების მთავარი ექიმი ზურაბ აფციაური სწორედ ადვოკატ მილორავას განცხადების საფუძველზე უტარებს სამედიცინო გამოკვლევებსა და შესაბამისად, მკურნალობას.

ცნობისთვის: მედიაკავშირ „ობიექტივისა" და წინააღმდეგობის მოძრაობის ადვოკატთა ჯგუფმა 2011 წლის მანძილზე 261 პატიმარს გაუწია საადვოკატო მომსახურება, რის შესახებაც ანგარიში უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება.

ასე რომ, №17 დაწესებულების – ციხის დირექტორს ლაშა ბრეგვაძეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა... მზაკვრული გეგმა გაშიფრულია, შურისძიება კი – მხილებული. და როგორც ქართულ ზღაპარში ამბობენ, – ჭირი იქა, ლხინი აქა...

**კოტე ინაშვილი,**
**უფლებადამცველი და მედიაკავშირ „ობიექტივის" წამყვანი.**

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს პოეტსა და ჟურნალისტს, ჩვენი გაზეთის ყოფილ კორესპონდენტს ქვემო ქართლში მურად ჭოლოკავას (ძიძიგურს) ვაჟიშვილის**

**ირაკლი ჭოლოკავას**

**გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 19 IV, 14 სთ. რუსთავში, თბილისის №21.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, ტექნიკის აკადემიური დოქტორის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის**



**თეიმურაზ ქაცარავას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ინსტიტუტის ადმინისტრაცია და თანამშრომლები

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგს ქალბატონ მარინე ჭაჭიას გარდაეცვალა მამა, ქ. სოხუმის №5 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგი**

**რაჟდენ მიხეილის ძე ჭაჭია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## განცხადება

**2012 წლის 8 მაისს დღის 11 საათზე მოწვეულ იქნეს სს „სოფლმომარაგების" საერთო კრება.**

**შემდეგ მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სოფ. აღთაკლია.**

**შემდეგი დღის წესრიგით:**

1. 2012 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა-შეჯამება.
2. სს „სოფლმომარაგების" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევნები.

**კრების სააღრიცხვო თარიღად მიჩნეულია 17 აპრილი.** აქციონერებს თავიანთი უფლებამოსილების შემოწმება შეუძლიათ შპს „კაპიტალ რეესტრში", ვაჟა ფშაველას 41.

სამეთვალყურეო საბჭო

სულიერება

# ბრწყინვალე შვიდეული გრძელდება



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული გრძელდება კვირაცხოვლობის ჩათვლით. კვლავ სადღესასწაულო განწყობაა. მთელი კვირის განმავლობაში ვადიდებთ მკვდრეთით აღმდგარ უფალს.

...ტრადიციისამებრ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს დიდუბობას ვზეიმობთ. ორშაბათსვე საფლავთა კურთხევა აღინიშნება.

ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღეს ვდღესასწაულობთ. ამ დღესვე მოიხსენიება ის 6 000 გარეჯელი მოწამე მამები.

შვიდეულის ოთხშაბათს სინას წმინდა მთაზე მოსაგრე მამათა ხსენებაა, ხოლო ხუთშაბათს გრიგოლ სინელის ხსენების დღეა.

ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაულია, რომელიც წყაროზეა აღმართული. ეს ტაძარი ბრწყინვალებითა და სილამაზით გამოირჩევა. ულამაზესი კვიპაროსებით და ჭადრებით დაბურული ტყეა გარშემო. ამბობენ, რომ წყაროსთან მისული ავადმყოფნი იკურნებოდნენ.

შაბათს თბილისის სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხი ჟამი შეიწირვის. წირვის შემდეგ კი არტოსის განტეხვა და დარიგებაა, ის უკვე მადლმოსილია.

საგულისხმოა, რომ მორწმუნე მრევლი აღდგომიდან ამაღლებამდე ერთმანეთს ახარებენ:

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

გიული ლიპარტია

ტესტი

# ჩვეულება ლოგიკაზე უმტკიცესია?

ესპანური ანდაზაა: „ჩვეულება — ეს ჯერ ობობას ქსელია, შემდეგ კი — მაგარი ქსელი“. უფრო მეტყველი და ყოვლისმომცველია ქართული ანდაზა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. გაიარეთ გასართობი ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი ჩვეულებების ძალა და მათი გავლენა თქვენზე.

ამისთვის, გთხოვთ, აიღოთ ფურცელი და კალამი, ასევე დაგჭირდებათ საათი, რომლითაც აუცილებლად უნდა დააფიქსიროთ დრო წამების სიზუსტემდე (თუ გაქვთ ინტერნეტი, ონლაინ-წამმზომი ადვილად შეიძლება მონახოთ საძიებელში). ტესტში ექვსი დავალებაა. თავდაპირველად შეასრულეთ პირველი სამი, ჩაიწერეთ, საერთოდ რამდენი დრო დასჭირდა ამას ჯამში. შემდეგ დააფიქსირეთ, რამდენი წამი დაგჭირდათ დარჩენილ სამზე. მაშ ასე, გადაავლეთ თვალი დავალებებს, რომ ტესტის გავლის დროს არ გიწევდეთ მათზე ღრმად დაფიქრება, და ჩართეთ წამმზომი.

1. ქაღალდზე დაწერეთ თქვენი გვარი.
2. დაწერეთ ფრაზა: „ქუდი შეკერილია სხვაგვარად“.
3. დაასახელეთ წლის ყველა თვე ხმამაღლა, დაიწყეთ იანვრიდან.

აღნიშნეთ, რამდენი წამი დაგჭირდათ დავალების შესრულებისთვის.

1. დაწერეთ თქვენი გვარი ბოლოდან.
2. დაწერეთ ფრაზა: „ქუდი შეკერილია სხვაგვარად“, სადაც ასო „დ“-ს ნაცვლად ჩაწერთ ასო „ღ“.
3. დაასახელეთ ხმამაღლა წლის თვეები ბოლოდან, დაიწყეთ დეკემბრიდან.

დააფიქსირეთ დრო, რომელიც ამ სამი პუნქტის შევსებაზე დაგჭირდათ.

მეორე მნიშვნელობას გამოაკელით პირველი. ეს არის თქვენი ჩვეულებების ძალის კოეფიციენტი.

## გაეცანით შედეგებს

**9 წამამდე ჩათვლით.** როგორც ჩანს, თქვენ საკმაოდ მოქნილი ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც შეუძლია გააკეთის ის, რომ ჩვეულებებმა არ გაგიმწარონ სიცოცხლე. როგორც ჩანს, თქვენ გაქვთ გარდაქმნის უნარი და შედარებით უმტკივნეულოდ შეეგუოთ ახალ პირობებს.

**10-დან 20 წამამდე.** თქვენ გაქვთ ზოგიერთი ჩვეულება, რომლებსაც შეუძლიათ დაამუხრუჭონ თქვენი შესაძლებლობები. კერძოდ, მათ შეიძლება არ მოგცეთ საშუალება დაიწყოთ საქმიანობა ახალ დარგში, მიიღოთ თქვენთვის ჯერ კიდევ უცნობი კმაყოფილება. დროა დაფიქრდეთ: ხომ არ დაივიწყოთ ზოგიერთი მათგანი წინსვლის გულისთვის?

**20 წამზე მეტი.** თქვენ, როგორც ვატყობთ, დამოკიდებული ბრძანდებით თქვენ ჩვეულებებზე. და ეს არის ის კალაპოტი, რომლის შეცვლაც გიჭირთ. თუ არ დაიწყებთ გადამჭრელ მოქმედებას, ეწევით რისკს ემორჩილებოდეთ მათ ძალას.

ЗДОРОВЬЕ

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

— მომისმინეთ, ჩემო კარგო, მე ფულს იმაში გიხდით, რომ ჩემს ქალიშვილს ფიზიკის გაკვეთილები ჩაუტაროთ და არა იმისთვის, რომ მასთან იკოცნაოთ, — ეკაპასება აბიტურიენტის დედა რეპეტიტორს.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! მეც მეორე საქმეს სრულიად უფასოდ ვაკეთებ.

* * *

— ბამარჯობათ, ეს სპერმის ბანკია?

— დიახ, გისმენთ.

— თუ შეიძლება, მითხარით, რამდენია თქვენთან ანაბრის წლიური პროცენტი?



ნუ ეთამაშები ქალიშვილის გულს — იგი მას ერთი აქვს... ეთამაშე ძუძუებს — ის ორია!

* * *

ჩვეულებრივი სოფლის საავადმყოფოს ექიმმა ყველა ქალური დაავადების საწინააღმდეგო სასწაულმოქმედი წამალი იპოვა — საკმარისია, ქალს უთხრა, რომ მისი სნეულება ჩვეულებრივი სიბერის სიმპტომია, რომ გამოჯანმრთელება შენს თვალწინ იწყება...

* * *

— ბავშვობაში განსაკუთრებით სულაც არ მინდოდა, რომ ვინმე გამოვსულიყავი.

— შენ ეს გამოგივიდა.

* * *

ძნელია დაეყრდნო მეგობრის მხარს, თუ ეს მეგობარი ზღარბია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### წეროვნელი დევნილების ნაწილი აღდგომას შუქისა და გაზის გარეშე შეხვდა

ცივი ზამთრის დღეებში დაგროვილი გაზისა თუ დენის გადასახადების გადაუხდელობის გამო წეროვანში ჩასახლებული დევნილების დიდ უმრავლესობას ზოგს — გაზი, ზოგს — შუქი ჩაჭრილი აქვს და აღდგომის დღეებსაც ამ გადასახადების დარდით უფრო ხვდებიან, ვიდრე საზეიმო განწყობით.

წეროვნის ყველა დევნილის სატკივარი დაკარგულ სახლებთან ერთად ყოველდღიური გაუსაძლისი ყოფა და დაგროვილი გადასახადებია.

„რეზონანსი“.

### რატომ ალაპარაკდა ალასანია აქციებზე

საქართველოში დემოკრატიული არჩევნები რომ არ ჩატარდებოდა, ამას „ქართულ ოცნებაშიც“ მიხვდნენ. ჰოდა, ერთმანეთის მიყოლებით გაიძახიან, მამულს თუ დასჭირდა, ქუჩის აქციებსაც მოვაწყობთო. ასეთი განცხადება ყველაზე ადრე ირაკლი ალასანიამ გააკეთა... საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით აქციების ჩატარებას სხვა ოპოზიციური ძალებიც ითხოვდნენ და ალასანიას ეს გადაწყვეტილება მოიწონეს. შესაძლოა, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ახლა ალასანია სამეგრელოშია გადასული, სადაც, როგორც თავად ამბობს, ადგილობრივი მოსახლეობა ახალაიების კლანისგან უნდა დაიცვას. წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. არჩევნებზე აქ დიდ ამბებს ელიან.

### წალკაში ქართული ენის სახლი გაიხსნა

ქართული ენის დღეს წალკის რაიონში ქართული ენის სახლი გაიხსნა. როგორც ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ აღნიშნა, „ქართული ენის სახლით, პირველ რიგში, მასწავლებლები და სახელმწიფო მოხელეები ისარგებლებენ.

„ახალი თაობა“

## მილოცვა

ყველაზე ლამაზ და ახალგაზრდა ბებიას დალი ხუნდაძეს ვულოცავთ პირველი შვილიშვილის პატარა საბას შეძენას. ღმერთმა ჯანმრთელი და ვაჟკაცი ბიჭი გაგიზარდოს. გფარავდეთ წმინდა აღდგომის მადლი.

სიყვარულით

ოთარ ტურაბელიძე და მამუკა ვაშაკიძე

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24